2012 წელი, 27 დეკემბერი
ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№40 (594) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს

თეონა უმიკაშვილი, თბილისის №11 საჯარო სკოლა

სოფლის სკოლა

სკოლის გამართული ფუნქციონირება სოფლის სიცოცხლის გახანგრძლივებაა

გვერდი 5

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

სიტუაციური ამოცანები და თეორიული მასალა

გვერდი 6-7

იურისტის კონსულტაცია

სამთვ-ს იურისტის თამარ ავალიანის რეკომენდაციები მასწავლებელთა უფლებების უკეთ დაცვის მიზნით

გვერდი 9

გამოხმაურება

გამომცემლობა „დიოგენე“ ძლიერი კონკურენტების ჩამოშორებას ცილისწამებითა და უსაფუძვლო ბრალდებებით ცდილობს

გვერდი 3

„ახალი განათლების“
ხელმოწერის მსურველებს
შეუძლიათ

2013 წლის ხელმოწერის თანხა
(ერთი წლით – 52 ლარი)
იანვრის ბოლომდე, გადმორიცხონ
ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

ალბომი „ილია II“ პატრიარქის საიუბილეოდ გამოიცა

ამ დღეებში საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა პრეზენტაცია ალბომისა – „ილია II“, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე და დაბადების მე-80 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს პატრიარქის 300-გვერდიანი „ილუსტრირებული ბიოგრაფია“ გამომცემლობამ „საოჯახო ბიბლიოთეკა“ მკითხველ საზოგადოებას წარუდგინა, როგორც უზადო დიზაინისა და პოლიგრაფიული დონის ნიმუში. საიუბილეო გამოცემის ეს ეფექტური ვიზუალური მხარე ხაზს უსვამს განუზომელ მნიშვნელობას ამ ალბომისათვის შერჩეული მასალისა: მკითხველი იხილავს უნიკალურ ფოტომასალას, რომელიც სპეციალურად ამ გამოცემისათვის იყო შეძენილი და პირველად ქვეყნდება და იმ საარქივო ფოტოსურათებსაც, რომლებიც ასურათხატებენ პატრიარქის ბიოგრაფიის არაერთ ღირსშესანიშნავ ეპიზოდს. მდიდარ ფოტომატიანეს ახლავს უწმიდესისა და უნეტარესის იშვიათად საინტერესო მოგონებები და პატრიარქის პირადი ბიოგრაფის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფიის ფრაგმენტები, რომლებშიც ლაკონურად აისახა ქართული ეკლესიის უახლესი ისტორიაც და მისი ახლანდელი საჭეთმპყრობლის ცხოვრების გზაც.

ალბომის შედგენასა და დიზაინზე იზრუნა მხატვარმა თეა ინწკირველმა, მას გვერდში ედგნენ საგამომცემლო ჯგუფის წევრები – არქიტექტორი თორნიკე გოგრიჭიანი (რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფოტოხელოვან ილია ზემკოს უნიკალური არქივის შეძენასა და დახარისხებაში), თინათინ გოგოჩაშვილი, ეთუნა ინწკირველი, გოგა დემეტრაშვილი, დათო კუტუბიძე, ნატალია ღლონტი, ნატა ყიფიანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ზემკოს ნამუშევართა გარდა, ალბომს ამშვენებს ზაზა მამულაშვილის, დავით კუკულაძის, ჩვენი ცნობილი რუსი მეგობრის იური როსტის ფერადი თუ შავთეთრი ფოტოსურათები.

ძალზე შთამბეჭდავია ალბომის შესავალი ნაწილი, სადაც მკითხველი XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა ფოტოსურათებსა და მოკლე ბიოგრაფიებს იხილავს, ისევე როგორც იმ დიდ ქართველთა მარტიროლოგი, რომელნიც ილია II-ის ინიციატივით წმინდანად შერაცხა ქართული ეკლესიის წმინდა სინოდმა.

საიუბილეო ალბომის ერთ-ერთ გამორჩეულად „ემოციურ ნაწილს“ ეკუთვნის თავად პატრიარქის ფერწერული ნამუშევრები და მისი ხატწერა.

ალბომის რედაქტორი გახლავთ პროფესორი ზაზა აბზიანიძე.

პირველი შედეგი გამომცემლებმა უკვე მიიღეს – ალბომმა პატრიარქის მოულოდნელი სიხარული და მოწონება გამოიწვია. უთუოდ, ამანაც განაპირობა მასპინძელთა და სტუმართა გამოსვლების პათოსი პრეზენტაციაზე, რომელიც მიჰყავდათ სერგო ვარდოსანიძესა და ზაზა აბზიანიძეს და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თეა ინწკირველმა, როინ მეტრეველმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვაჟა გურულმა, გია ალიბეგაშვილმა და ტარიელ ფუტკარაძემ.

ინფორმაცია

სამინისტროს ახალი ინიციატივა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით, პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესს იწყებს. სამინისტროში „პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის“ პრეზენტაცია გაიმართა.

საქართველოს განათლების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლების სამინისტროს ამ ახალი ინიციატივის ფარგლებში, მოხდება:

♦ საკანონმდებლო მზაობის შექმნა პროფესიული ინკლუზიური განათლებისათვის;

♦ პროფესიულ სასწავლებლებში ადეკვატური ფიზიკური და სასწავლო გარემოს შექმნა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;

♦ პროფესიულ სასწავლებლებში სსმ პირთა ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ადამიანური რესურსის განვითარება, დამსაქმებელთა დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა;

♦ წინაპროფესიული განათლების კომპონენტების პილოტირება საჯარო სკოლებში, რაც გულისხმობს სამეწარმეო პროექტების ინიცირებას საჯარო სკოლებში და ახალი საგნის – „შრომითი უნარ-ჩვევების“ პილოტირებას 10 საჯარო სკოლაში.

განათლების სამინისტრო ინკლუზიურ განათლებას 2005 წლიდან ნერგავს საჯარო სკოლებში. თუმცა, ასევე უმნიშვნელოვანესია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის განათლება იყოს ხელმისაწვდომი ყველა ეტაპზე. პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური განათლების დანერგვა ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ: სფეროში მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები და დონორები – USAID, UNIICEF.

2012 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **თამარ სანიკიძემ** სამინისტროს 2012 წლის ბიუჯეტსა და 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე ბრიფინგი გამართა.

2012 წლის ბიუჯეტის შიდა რესურსის მობილიზების ხარჯზე 7.5 მლნ ლარზე მეტი დაიზოგა, საიდანაც:

♦ მიმდინარე წელს კახეთში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სტუდენტთა 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით 2,4 მლნ ლარამდე გამოიყო;

♦ დარჩენილი თანხით საახალწლოდ საჯარო სკოლის მასწავლებელთა და ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის მატერიალური წახალისება განხორციელდება 60-65 ლარის ფარგლებში (5 მლნ ლარამდე).

2013 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილებები

2012 წლის ოქტომბრიდან დაიწყო მუშაობა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასა და სრულყოფაზე:

♦ მომავალი წლის ბიუჯეტი 61 700 მლნ ლარით გაიზარდა (2012 წ. – 608 300 მლნ ლარი; 2013 წ. – 670 000 მლნ ლარი);

♦ 2013 წლის პირველადი საბიუჯეტო პროექტი ოპტიმიზაციის მიზნით გადაიხედა. განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად, არსებული რესურსიდან დაახლოებით 35 მლნ ლარი იქნა მობილიზებული.

ზემოაღნიშნული დამატებითი და მობილიზებული რესურსი, ჯამში – **96 700 მლნ** ლარი, 2013 წლის ბიუჯეტის ფარგლებში მიმართულ იქნა შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

1. გაიზარდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის (ბაკალავრიატის სტუდენტთა) დაფინანსება (დამატებით 10,2 მლნ ლარი). გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში, უმაღლეს დაწესებულებებთან თანამშრომლობით, გამოიყოფა პროგრამები და ამ პროგრამების ფარგლებში სწავლა იქნება უფასო; აგრეთვე შენარჩუნდება სასწავლო გრანტის პროგრამა 11 მილიონი ლარის ფარგლებში;

2. მომავალი წლიდან იგეგმება დოქტორანტურის პროგრამების დაფინანსება (1 მლნ ლარი), რომელიც მანამდე არ არსებობდა;

3. გაიზრდება სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (დამატებით 1,4 მლნ ლარი);

4. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სტუდენტთა 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით 2,4 მლნ ლარი გამოიყო;

5. მომავალი წლიდან იგეგმება საჯარო სკოლის პედაგოგთა საბაზო შრომის ანაზღაურების ზრდა თვეში 70-80 ლარით (დამატებით 50 მლნ ლარი);

6. იმ საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც სკოლამდე მისასვლელად უხდებოდათ ფეხით დიდი მანძილის გავლა, შეიქმნა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, 190 სკოლის 9000-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირებით (2,6 მლნ ლარი);

7. იმ პროექტების და ღონისძიებების გარდა, რომელიც ბიუჯეტით გათვალისწინებულია მეცნიერების ხელშეწყობისათვის, დამატებით შეიქმნა მეცნიერების აღდგენისა და განვითარების ფონდი (5 მლნ. ლარი);

8. გაიზარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება (დამატებით 585 ათასი ლარი);

9. გაიზარდა რიგი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება (დამატებით 192 ათასი ლარი);

10. გაიზრდება სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებისთვის და გაორმაგდება (დამატებით 1,75 მლნ ლარი);

11. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიულ კოლეჯებისთვის მოხდება შესაბამისი სახელმძღვანელოების და სასწავლო პროგრამების შექმნა და კოლეჯებში მათი დანერგვის უზრუნველყოფა, რისთვისაც გამოიყოფა დამატებით რესურსი (1,45 მლნ ლარი);

12. განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (დამატებით 14,5 მლნ ლარი);

13. 2014 წლის დასაწყისში გაიცემა 2013 წლის მეცამეტე ხელფასი (150-დან 500 ლარამდე) ანაზღაურების მქონე პედაგოგებისთვის, ეს თანხა შეადგენს 360 ლარი.

გამოხმაურება

გამომცემლობა „დიოგენე“ ძლიერი კონკურენტების ჩამოშორებას ცილისწამებითა და უსაფუძვლო ბრალდებებით ცდილობს

უკანასკნელ ხანებში საკმაოდ აქტუალური გახდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხი, რაც წინა პლანზე გამომცემლობა „დიოგენემ“ წამოსწია. სწორედ ამ გამომცემლობის მესვეურებმა დაიწყეს საუბარი სახელმძღვანელოების კონკურსის პირობებზე, ვადებზე, ექსპერტების შერჩევისა და მათი მუშაობის პრინციპებზე და ა.შ.

ცხადია, ნებისმიერ გამომცემლობას, რომელიც მონაწილეობდა აღნიშნულ კონკურსებში, აქვს უფლება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია სახელმძღვანელოების გრიფირების, მათი აზრით, დადებით და უარყოფით მხარეებზე, გააცნოს საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებები, ამასთან, სურვილისამებრ, გაასაჩივროს კონკურსის შედეგები. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ესა თუ ის გამომცემლობა უნდა იყოს ობიექტური მიმდინარე პროცესების მიმართ და საკუთარი მარცხი კონკურსში არ წარმოაჩინოს სხვა, კონკურსში გამარჯვებული გამომცემლობებისადმი ცილისწამების, უსაფუძვლო ბრალდებების, ფაქტების გაყალბების ფონზე.

გამომცემლობა „დიოგენეს“ მესვეურთა მონაწილეობას მე-9 არხის ტელეეთერში, შემდგომ საგანგებო ბრიფინგზე, აგრეთვე სოციალურ ქსელებსა და პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში, შეიძლება ითქვას, რომ „წითელ ხაზად“ გასდევს ბრალდებების კასკადი გამომცემლობა „მერიდიანისადმი“, რომელთა მიზანიცაა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ბრალდების ავტორები არ ითვალისწინებენ იმას, რომ ობიექტურ ფაქტებს, ჭეშმარიტებას ვერ გაექცევიან და თავადვე მოუწევთ პასუხისგება ჩადენილი, აშკარად მიზანმიმართულად განხორციელებული ქმედებებისათვის.

ზემოაღნიშნულის გაგრძელებას წარმოადგენდა გაზეთ „ახალ განათლებაში“ (კერძოდ, ამა წლის 6-12 დეკემბრის ნომერში) გამომცემლობა „დიოგენეს“ ბრიფინგის გაშუქება. აღნიშნულ ბრიფინგზე მრავლად იყო უსაფუძვლო ბრალდებები და ცილისწამება, რომელიც პირდაპირ და დაუფარავად იყო მიმართული გამომცემლობა „მერიდიანის“ წინააღმდეგ.

იმ მოსაზრებით, რომ ნათელი მოეფინოს „დიოგენეს“ ცრუ ბრალდებებსა და მათ მიერ სიმართლის დამალვის ფაქტებს, ვფიქრობთ, საზოგადოებისათვის აუცილებელია რიგი განმარტებების გაკეთება.

1. გაზეთ „ახალ განათლებაში“ დაბეჭდილ სტატიაში „დიოგენეს“ მესვეურები აღნიშნავენ, რომ „მერიდიანი“ იყო ერთი „ჩვეულებრივი“, „საწყალი“ გამომცემლობა, რომელსაც წელიწადში 3-4 გრიფირებული სახელმძღვანელო ჰქონდა.“

„დიოგენეს“ ხელმძღვანელს, ქ-ნ თამარ ლებანიძესა და მის რედაქტორს, ბ-ნ სოლომონ ნოზაძეს შევახსენებთ, რომ „მერიდიანი“ თითქმის 20 წელია მოღვაწეობს საგამომცემლო სფეროში და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერ, პროდუქტიულ, მაღალი რანგის გამომცემლობად, რომელსაც ჰყავს პროფესიონალთა გუნდი, მძლავრი ტექნიკური ბაზა, მუშაობს მრავალი მიმართულებით (სამეცნიერო, პოპულარული, მხატვრული, საგანმანათლებლო და სხვა სახის ლიტერატურა). საინტერესო ფაქტია, რომ „მერიდიანის“ მიერ მომზადებული პირველი სასკოლო სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში (V-VI კლ.) ჯერ კიდევ 1995 წელს იქნა გამოცემული. გამომცემლობა მონაწილეობდა სასკოლო სახელმძღვანელოების ყველა კონკურსში და ხშირ შემთხვევაში იმარჯვებდა კიდეც.

2. გამომცემლობა „დიოგენეს“ რედაქტორს სოლომონ ნოზაძეს თუ დავუჯერებთ, „შემდეგ ეს ერთი „ჩვეულებრივი“ გამომცემლობა გადაიქცა მონსტრად, რომლის ყველა სახელმძღვანელომ მიიღო გრიფი“.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ბ-ნი ს. ნოზაძე არც ერთ გამოსვლასა თუ სტატიაში არ აღნიშნავს, თუ რამდენ საგანში წარადგინა „დიოგენემ“ საკონკურსოდ სახელმძღვანელოები და რა შედეგები მიიღო. გამომცემლობა რატომღაც მხოლოდ „მერიდიანის“ შედეგებით ინტერესდება. 2012 წელს სახელმძღვანელოების კონკურსში გაიმარჯვა „დიოგენეს“ მიერ წარდგენილმა 6 საგნის სახელმძღვანელომ. რაც შეეხება „მერიდიანს“, აღნიშნულ კონკურსში გაიმარჯვა ამ გამომცემლობის მიერ მომზადებულმა 3 საგნის სახელმძღვანელომ. გრიფირებულ იქნა აგრეთვე გამომცემლობა „კლიოსთან“ ერთობლივად მომზადებული სახელმძღვანელოები საბუნებისმეტყველო საგნებისათვის. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2011 წლის სასკოლო სახელმძღვანელოების კონკურსში გრიფი ვერ მიიღო „მერიდიანის“ მიერ წარდგენილმა სახელმძღვანელომ „ჩვენი საქართველო“ V-VI კლასებისათვის, 2012 წელს კი – იტალიური ენის სახელმძღვანელოებმა VII-XII კლასებისათვის.

3. ზემოაღნიშნულს ლოგიკურად უკავშირდება საკმაოდ სერიოზული ბრალდება იმის თაობაზე, რომ, როგორც „დიოგენეს“ რედაქტორი ს. ნოზაძე აღნიშნავს, **„ტენდენციური კონკურსის შედეგად მონოპოლიური მდგომარეობა გამომცემლობა „მერიდიანმა“ მოიპოვა, რომელსაც „ძლიერი მფარველები“ ჰყავდა. „ვინ დგას მერიდიანის უკან, ეს პროკურატურამ უნდა გაარკვიოს.“** ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ „მერიდიანს“ არ ჰქონდა მონოპოლიური მდგომარეობა და მით უმეტეს, არც „მონსტრად“ არ ქცეულა – ეს არის გამომცემლობა, რომლის ზოგიერთმა წიგნმა გაიმარჯვა, ზოგიერთი კი კონკურსს მიღმა აღმოჩნდა, რაც ბუნებრივია – კონკურსის პირობებში ხომ ზოგი იმარჯვებს, ზოგი – ვერა. რაც შეეხება სახელმძღვანელოების ხარისხს (როგორც შინაარსობრივი, ისე პოლიგრაფიული დონის თვალსაზრისით), ეს მხარე ყოველთვის პრიორიტეტული იყო „მერიდიანისთვის“, გამომცემლობა ორიენტირებული იყო უშუალოდ მასწავლებელზე, მოსწავლეზე, შესაბამისად, „მერიდიანის“ გამოცემული სახელმძღვანელოები ყოველთვის განსაკუთრებული მოწონებითა და ინტერესით სარგებლობდა, რაზეც ნათლად მეტყველებს სხვადასხვა დროს განხორციელებული კვლევების სტატისტიკური მონაცემები.

4. „დიოგენეს“ მესვეურთა განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს „მერიდიანის“ მიერ მომზადებული ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები VII-XII კლასებისათვის და ყველგან ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **„მერიდიანმა“ პრაქტიკულად არარსებული წიგნი გაიყვანა კონკურსში და მიიღო გრიფი“**, რაც უდავოდ აბსურდული ბრალდებაა. აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე „მერიდიანში“ მუშაობდა 9 მაღალი კვალიფიკაციის ავტორი, მათგან, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ავტორები, დარგის საუკეთესო სპეციალისტები, მასწავლებლები, ამდენივე რედაქტორი, აგრეთვე დამკაბადონებლები, დიზაინერები. ავტორთა ჯგუფებმა სახელმძღვანელოებზე მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყეს, რამდენადაც ყველასათვის იყო ცნობილი, რომ 2012 წელს ცხადდებოდა კონკურსი საბაზო და საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებზე. მიზანმიმართული და მკაცრად ორგანიზებული მუშაობის შედეგად, კონკურსზე წარდგენილ იქნა დასრულებული, საკმაოდ მაღალი დონის სახელმძღვანელოები და არა „ნახევარფაბრიკატები“, რისი სახეც, თვითონ „დიოგენეს“ მესვეურთა თქმით, ჰქონდა მათ სახელმძღვანელოებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება – „დიოგენემ“ ქართულ ენასა და ლიტერატურაში საკონკურსოდ წარადგინა ავტორთა ორი ჯგუფის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები. გრიფი მიენიჭა ავტორთა ერთი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, მეორეს კი – არა. ჩნდება კითხვა, თუ ექსპერტების მხრიდან არაობიექტურობასა და მიკერძოებას ჰქონდა ადგილი, რატომ მიიღო დადებითი შეფასება „დიოგენეს“ ერთი სახელმძღვანელოების სერიამ? რატომ არ გააჟღერა აღნიშნული ინფორმაცია არც ერთ დონეზე „დიოგენემ“? ეს ხომ ნათელს მოჰფენდა მათ დაფარულ მიზნებს!

5. წინა ბრალდებებს უშუალოდ უკავშირდება შემდეგი, განსაკუთრებით მძიმე ბრალდება: **„სხვა გამომცემლობებიც მიდიოდნენ „მერიდიანთან“, სთავაზობდნენ თავიანთ წიგნებს ავტორებითა და თხოვნით – „დაკრიშე, გაიყვანე და მერე მოგება გავიყოთო“. ...„მერიდიანს“ მიეცა გამომცემლობა „კლიო“, რომელიც მას სთავაზობდა სახელმძღვანელოებს, რომლებიც „მერიდიანს“ არ ჰქონდა.“ (ს. ნოზაძე).**

თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, საგამომცემლო სფეროში მიღებული ფორმაა გამომცემლობების კორპორატიული თანამშრომლობა, რასაც ჩვენთანაც აქვს ადგილი – ხშირად გამომცემლობები ერთობლივ პროექტებზე მუშაობენ, ამ შემთხვევაში შედეგიც ბევრად საგულისხმოა. არაერთი შემთხვევაა ცნობილი თვითონ „დიოგენეს“ მესვეურებისათვის, როდესაც გამომცემლობები ერთობლივად მუშაობენ საკონკურსო მასალებზე. შევახსენებთ ქ-ნ თამარს, რომ მასთან შეთანხმებით „მერიდიანის“ ხელმძღვანელთან მივიდა „დიოგენეს“ რედაქტორი ს. ნოზაძე, რომელმაც შესთავაზა თანამშრომლობა, თუმცა პირობების განხილვის შედეგად თანამშრომლობა ვერ შედგა. ეს ინფორმაციაც რატომღაც მათ არ გაუჟღერებიათ.

6. **სოლომონ ნოზაძის განცხადებით, გამომცემლობა „მერიდიანი“ ცდილობდა „დიოგენეს“ ერთ-ერთი ავტორის – ნუგზარ მუზაშვილის გადაბირებას, რადგან მათ არ ჰქონდათ მომზადებული X-XI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, თუმცა ავტორის გადაბირება ვერ განხორციელდა. ნოზაძე კი, რომელიც საკუთარ თავს რატომღაც „პესიმისტ ადამიანს“ უწოდებს, გაოცებული დარჩა, როდესაც „მერიდიანის“ ქართული ენისა და ლიტერატურის არარსებულმა სახელმძღვანელოებმა გრიფი მიიღო.** სავარაუდოდ, როგორც თ. ლებანიძის, ისე ს. ნოზაძისათვის ცნობილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „მერიდიანი“ ნამდვილად არ ცდილობდა ბ-ნი ნუგზარ მუზაშვილის გადაბირებას (ბ-ნი ნუგზარისადმი უდიდესი პატივისცემის გამო, მისი ნებართვის გარეშე, „მერიდიანი“ ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას არ აპირებს და, „დიოგენესგან“ განსხვავებით, თვლის, რომ ადამიანის „ჩათრევა“ დავაში, რომელიც არავის ინტერესებში არ შედის, რბილად რომ ვთქვათ, ღირსეული საქციელი არ არის.).

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ წინამდებარე წერილი ნათელს მოჰფენს „დიოგენეს“ მიერ „მერიდიანისადმი“ წაყენებული ბრალდებების მიზანსა და არსს, ამასთან გაჩნდება კითხვებიც, თუ რატომ მალავდნენ მთელ რიგ ფაქტებს, მტკიცებულებებს „დიოგენეს“ მესვეურები, რატომ აგებდნენ საკუთარ ბრალდებებს მხოლოდ სიცრუეზე, ხომ არ შეადგენდა მათ მიზანს ძლიერი კონკურენტების ჩამოშორება ცილისწამებითა და უსაფუძვლო ბრალდებებით.

ზემოაღნიშნული უდავოდ იმსახურებს სათანადო სამართლებრივ შეფასებას.

გიორგი ცერცვაძე („გამომცემლობა მერიდიანის“ ადვოკატი): „ბიზნესის ერთ სფეროში მოღვაწე სუბიექტების კონკურენცია ჯანსაღი და ნორმალური მოვლენაა, თუმცა ინფორმაცია, რომელიც გამომცემლობა „დიოგენეს“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს, თავისი შინაარსით სცილდება დასაშვები კონკურენციის ფარგლებს და ლახავს შპს გამომცემლობა „მერიდიანის“ საქმიან რეპუტაციას. შპს გამომცემლობა „მერიდიანმა“ უკვე მიმართა გამომცემლობა „დიოგენეს“ ოფიციალური წერილით. იმედი გვაქვს, რომ „დიოგენეს“ მესვეურები გააცნობიერებენ უსაფუძვლო ბრალდებების სერიოზულობას და მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ არსებული უთანხმოება სასამართლოს გარეშე, მოლაპარაკების გზით გადაწყდეს.“

გამომცემლობა „მერიდიანი“

ინფორმაცია

კონფერენცია პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გია მამულაშვილმა** პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა კონფერენცია გახსნეს.

ორდღიანი კონფერენცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების შეჯამებასა და პროფესიულ კოლეჯებს შორის მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებას ეძღვნება. წელს პირველად, მასში მონაწილეობას პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და წარმატებული კურსდამთავრებულები მიიღებენ.

პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთათვის წელს არაერთი მნიშვნელოვანი ტრენინგი ჩატარდა, მათ შორის, სასწავლო პროცესში სწავლების ინტერაქტიული მეთოდებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

ახლო მომავალში დაგეგმილია პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა აკადემიური საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგებიც მასწავლებელთა განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს დაედება საფუძვლად.

საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებს – **ჯემალ შენგელიას, გიორგი კობახიძეს, სერგი ჩალაურს, საბა ხარაბაძეს, გიორგი გონაშვილს, ჯიმშერ სხირტლაძეს** და **ნიკოლოზ სვანიძეს** ფულადი ჯილდოები გადასცა.

თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – ჯემალ შენგელიამ, გიორგი კობახიძემ, სერგი ჩალაურმა და თბილისის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ საბა ხარაბაძემ ესტონეთში გამართულ ფიზიკის 43-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ალუდა გოგლიჩიძემ მათ 2 000 ლარის ფულადი პრემიები გადასცა.

ჯიმშერ სხირტლაძე და ნიკოლოზ სვანიძე (თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა) იტალიაში გამართულ ინფორმატიკის 24-ე საერთაშორისო ოლიპიადაზე ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ. მათ ჯილდოდ 2000-2000 ლარი მიიღეს.

არგენტინაში გამართულ მათემატიკის 53-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი გონაშვილმა ბრინჯაოს მედალი აიღო.

საერთაშორისო ოლიმპიადებში საპატიო სიგელები მოიპოვეს აკაკი მარგველაშვილმა (ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა), გელა მაღალთაძემ, სანდრო მალუძემ (199-ე საჯარო სკოლა) და თორნიკე მანძულაშვილმა (42-ე საჯარო სკოლა).

საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრები გუნდები, ტრადიციულად, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. მათ დამატებით სპეციალური შესარჩევი ტურები გაიარეს. ნაკრები გუნდები, საერთაშორისო ოლიმპიადების სტანდარტების შესაბამისად, ერთი თვის განმავლობაში, საზაფხულო ბანაკში ემზადებოდნენ.

მოსწავლეთა წახალისების მიზნით, სამინისტრო სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს, მათ შორისაა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა. სამინისტრო ასევე წარმატებით ახორციელებს პროექტს, რომელიც მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე წარგზავნას ითვალისწინებს და საიდანაც ჩვენი ნაკრებების წევრები კარგი შედეგებით, შესაბამისი მედლებითა და სიგელებით ბრუნდებიან. წარმატებული მოსწავლეების წახალისებას სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს.

განახლებული კონცეფციის განხილვა პედაგოგებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებლის სახლში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის განახლებული კონცეფციის განხილვა მოეწყო. ცენტრის ხელმძღვანელმა და კონსულტანტებმა პედაგოგებს დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გააცნეს და მათი წინადადებები მოისმინეს. ღონისძიებას მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** დაესწრო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სკოლების დეცენტრალიზაციის პოლიტიკას ატარებს. სწორედ, ამ პრინციპზე დაყრდნობით შემუშავდა ახალი კონცეფცია.

დოკუმენტი პედაგოგების საჭიროებების კვლევასა და მასზე დაფუძნებით მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების განახლება-განვითარებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, კონცეფციაში ასახულია დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მეთოდები, მასწავლებლების უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, სკოლების მართვისა და სწავლების ხარისხის ამაღლება და სხვ.

კონცეფცია მასწავლებლის სახლის კონსულტანტებმა შეიმუშავეს. განხილვას თბილისიდან და ახლომდებარე რეგიონებიდან 100-ზე მეტი პედაგოგი დაესწრო. აღნიშნულ დოკუმენტს ცენტრი მომავალში საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებთანაც განიხილავს. განხილვების შემდეგ კი, განახლებულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს.

მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის თემაზე შეხვედრები დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ინიციატივით, პროექტი „ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში“ ხორციელდება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის სტრატეგიის დანერგვის ხელშეწყობაა. ამ თემასთან დაკავშირებით მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა **ნათია ჯოხაძემ** ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

მოსწავლეთა წარმატებისთვის მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობა. გამოკვლევების თანახმად, რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების პროცესში, ესაუბრება მას განათლების მიღების მნიშვნელობაზე, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება სწავლების პროცესში შექმნილი პრობლემების გადალახვაში, მით უფრო მკვეთრად იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლაში, იზრდება მოსწავლის მოტივაცია, მას მეტად უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, იზრდება სასკოლო გეგმაში დასახული მიზნების შესრულების ხარისხი, სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი.

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სასწავლო გეგმის ექსპერტები და განათლების ფსიქოლოგები თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ხაშურის, გორის, რუსთავის, ლაგოდეხის და თელავის საჯარო სკოლების პედაგოგებთან და მოსწავლეთა მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს მართავენ.

პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტი მშობლებისთვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიქმნა ელექტრონული ფოსტა – mshobeli@mes.gov.ge, რომელზეც ყველა მშობელს და დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოაგზავნოს შეკითხვები და რეკომენდაციები. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მიმართულებით, სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს დაგეგმილი აქვს როგორც კვლევითი საქმიანობა, ასევე მეთოდოლოგიურ რესურსებზე მუშაობა.

შეხვედრა მშობლებთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა თბილისის სკოლების სამეურვეო საბჭოების წევრ მშობლებსა და მშობელთა კომიტეტის წევრებს სისტემაში დაგეგმილი სიახლეები გააცნეს.

ალუდა გოგლიჩიძემ შეხვედრაზე მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სწორედ მშობელსა და სკოლას შორის არსებული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით, მინისტრის მოადგილემ გარკვეული რეკომენდაციები წარმოადგინა და მშობლების წინადადებებიც მოისმინა.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ დეტალურად ისაუბრა სამინისტროს სამომავლო გეგმებზე და მშობელთა შეკითხვებსაც უპასუხა.

ქართველ და მაკედონიელ კოლეგებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები მაკედონიიდან „პროექტ ჰარმონიის“ (PH International) გაცვლითი პროგრამის ჯგუფს შეხვდნენ. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მაკედონიის განათლებისა და მეცნიერების და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის წარმომადგენლობა საქართველოში. ეს ორგანიზაცია უკვე მეოთხე წელია ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი განათლების პროგრამას ახორციელებს.

„პროექტ ჰარმონიის“ გაცვლითი პროგრამა მიზნად ისახავს მაკედონიელი კოლეგებისთვის „სამართლებრივი განათლების პროგრამის“ 4-წლიანი გამოცდილების გაზიარებას. პროგრამა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით და ორიენტირებულია მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციაზე.

შეხვედრაზე იმსჯელეს „სამართლებრივი განათლების პროგრამის“ სასკოლო კომპონენტების შესახებ (სამართლებრივი კულტურის გაკვეთილები, სოციალური მედია სკოლაში (SMS), თანატოლთა სამართლებრივი განათლების კლუბები). გაცვლითი პროგრამის მიზანი არსებული პრაქტიკის დემონსტრირება და გაზიარებაა, ვინაიდან მსგავსი პროგრამა ორიოდე თვის წინ დაიწყო მაკედონიაში.

საკოორდინაციო შეხვედრა პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხებზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხებზე საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას სახელმწიფო და კერძო კოლეჯების, პროფესიული კავშირების, დამსაქმებელთა ასოციაციების, სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო პროფესიული განათლების დაფინანსების არსებული მოდელის ხარვეზებს და ახალი მექანიზმების ფორმირების საკითხი დაისვა. საერთაშორისო ექსპერტმა, რომელიც საქართველოში გერმანიის ტექნიკური დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით იმყოფება და პროფესიული განათლების სფეროს დაფინანსების არსებული სისტემა შეისწავლა, საკუთარი რეკომენდაციები წარმოადგინა.

მომავალი წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, პროფესიული განათლების დაფინანსების ალტერნატიული გზების განხილვას გეგმავს და, შეთანხმების შემთხვევაში, ახალი მოდელის დანერგვასა და მოქმედებას უზრუნველყოფს.

გრიფირების პროცესი უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი გახდა

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში არასამთავრობო სფეროში მოღვაწე განათლების სპეციალისტები ჩაერთვნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის შემადგენლობაში, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მაქსიმალურადაა წარმოდგენილი არასამთავრობო სექტორი.

14 დეკემბერს კომისიის მეორე შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის ქართული ენის საბაზო დონის სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების საკითხი განიხილეს.

2012 წლის დეკემბრიდან გრიფირების კომისიის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), PH International, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), ორგანიზაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“ და ა.შ. ასეთი შემადგენლობით კომისიის შექმნის მიზანია განათლების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა.

სოფლის სკოლა

სკოლის გამართული ფუნქციონირება სოფლის სიცოცხლის გახანგრძლივებაა

ანა ფირცხალაიშვილი

ამ პატარა, ლამაზ გურულ სოფელს ერთ დროს ცაცხვიანი ერქვა. ახლა ნინოშვილი ჰქვია, IX საუკუნეში მოღვაწე ქართველი მწერლის, ეგნატე ინგოროყვას საპატივცემულოდ. კარგა ხანია, იგი სასკოლო პროგრამიდან ამოღებულია, მაგრამ მის ღვაწლს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად ილია ჭავჭავაძე და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლ მწერლად მოიხსენიებდა. ნინოშვილი მწერლის ფსევდონიმია, მას დედა 1 წლის ასაკში გარდაეცვალა და მამიდა ნინო ზრდიდა, გვარიც მისადმი პატივისცემის ნიშნად შეარჩია.

ნინოშვილში, 1930 წლამდე, 2 დაწყებითი სკოლა არსებობდა. ერთი მათგანი დაბლა ყელაში ფუნქციონირებდა, ხოლო მეორე სოფლის იმ კუთხეში, რომელსაც ბულუხაურს ეძახიან. ამ სკოლების დასრულების შემდეგ მაშინდელი მოსწავლეები სოფელ ჯურუყვეთში აგრძელებდნენ სწავლას.

1931 წელს, სოფლის ცენტრში, ისტორიული ცაცხვის ქვეშ დაიდგა ბულუხაურიდან გადმოტანილი დაწყებითი სკოლა. სკოლა სამკლასიანი იყო და ოფიციალურად ასე ეწოდებოდა – „კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა“. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ: **ბათლომე ჩხარტიშვილი, ტიტიკო დონდოლაძე, გრიგოლ მიქაბერიძე, ვარდენ მგელაძე, დავით სარიშვილი, გრიგოლ კვაჭაძე, ვახტანგ** და **სევერიანე ჭყონიები**, დამსახურებული მასწავლებლები: **ანეტა ღლონტი** და **ელენე მიქაბერიძე, მარო ჯაველიძე**.

1930-იანი წლების ბოლოს სოფლის მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით ააგო სკოლის ახალი ხის შენობა. 1946 წელს, იმჟამად მოქმედი ოთხკლასიანი სკოლა რვაკლასიანად გადაკეთდა. 1988 წელს შემოღებულ იქნა 11-წლიანი სწავლება, რამაც განაპირობა სკოლების ცხრაწლიან სწავლებაზე გადასვლა. ამჟამადაც ნინოშვილის საჯარო სკოლა ცხრაკლასიანი სასწავლებელია. აქ მიმდინარეობს დაწყებითი და საბაზო საგანმანათლებლო საქმიანობა.

ნინოშვილის საჯარო სკოლის დღევანდელი შენობა 1972 წელს აიგო. იმ პერიოდში იგი კაპიტალური ნაგებობა იყო ცენტრალური გათბობით, სახელოსნოთი და სხვა დამხმარე ნაგებობებით. სკოლის ახალი შენობის აშენებაში დიდი წვლილი შეიტანა ნინოშვილის სკოლის აღზრდილმა, აკადემიკოსმა **ვიქტორ კუპრაძემ**.

ამჟამად ნინოშვილის საჯარო სკოლაში 64 მოსწავლე სწავლობს. 1993 წელს 124 მოსწავლე ირიცხებოდა.

სოფელში, სადაც ახლა 200-მდე კომლი ცხოვრობს, სკოლა და საბავშვო ბაღი ერთ ეზოშია განთავსებული. სკოლის შესასვლელისკენ მიმავალს თვალში მოგხვდებათ სკოლის ნახევრადდანგრეული დამხმარე ნაგებობა, რომელსაც ბებერი ცაცხვის ხეები დაჰყურებს თავს, ამიტომაც ერქვა თურმე სოფელს ცაცხვიანი. ორსართულიანი სკოლის შენობა, მით უმეტეს, გარემონტებული საბავშვო ბაღის ფონზე (შენობაში ბაღთან ერთად განთავსებულია სამუსიკო სკოლა, ბიბლიოთეკა, სოფლის საკრებულო, მედპუნქტი) ძალიან „სევდიანად“ გამოიყურება. ეს გრძნობა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა საკლასო ოთახებში შეიხედავ – თვალსაჩინოება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მხოლოდ სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, შენობის წინა ხედი, ახალი მეტალოპლასტმასის ფანჯრები და ინფორმატიკის კაბინეტი გახსენებთ, რომ სკოლაში ხართ. აქაურ ბავშვებს ჯერ კიდევ არ განუცდიათ ის სიამოვნება, რაც ასეულობით სკოლის მოსწავლემ განიცადა განახლებული თუ ახლად აშენებული, ყოველმხრივ აღჭურვილი სასწავლო დაწესებულებით. სკოლის დირექტორი, ბატონი **აკაკი დიასამიძე** ეკომიგრანტია აჭარიდან, 1993 წლიდან ხელმძღვანელობს სკოლას. ამბობს, რომ გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იყო შენობა, ახლა სახურავიც გამოცვლილია და ფანჯრებიც. სკოლის მწირი ბიუჯეტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ყველა პრობლემა თავად მოაგვარონ. *„განსაკუთრებით ინვენტარია გაასაახლებელი. მერხები, მაგიდები, დაფები იმდენად მოძველებულია, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, გასარემონტებელია საკლასო ოთახები. 20 წელია, არავითარი აღჭურვილობა არ მიგვიღია საბუნებისმეტყველო საგნებისათვის. ასეთი პირობების მიუხედავად, ჩვენი პედაგოგები მაინც ახერხებენ მოსწავლეების დაინტერესებას, ვმონაწილეობთ სასკოლო და სარაიონო ოლიმპიადებში, II-III ადგილებიც ავიღეთ მათემატიკაში, წარმატებები გვქონდა ისტორიასა და ფიზიკაში“,* – ამბობს ბატონი აკაკი და სერტიფიცირებულ პედაგოგებს – **ციალა ტულუშსა** (დაწყებითი კლასების პედაგოგი) და **დავით ბოლქვაძეს** (ისტორიის მასწავლებელი) გვაცნობს. მესამე წელია, ბატონი დავითი I კლასში ინგლისურსაც ასწავლის და გამოცდა ისტორიასა და კომპიუტერთან ერთად ინგლისურშიც ჩააბარა, ასე რომ, 200-ლარიან დანამატსაც იღებს. ამბობს, რომ ბუკების დახმარებით ბავშვებს უადვილდებათ უცხო ენის ათვისება. მას კი ცოდნის გაღრმავებაში ამერიკელი **მიჩელ მოსტი** ეხმარება, რომელიც მცირე დროის მიუხედავად თავადაც ახერხებს თავაზიანად მოსალმებასა და მოკითხვას. როცა კლასში მხოლოდ 4 პატარა ზის და დისციპლინის პრობლემა მოხსნილია, ალბათ, გაცილებით ადვილია სასურველი შედეგის მიღწევა. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დღეს ბევრი სოფლის სკოლაშია საამისო ნიადაგი. მართალია, სკოლას სპორტული დარბაზი არ აქვს, მაგრამ გარეთაც კარგად ახერხებენ გაკვეთილების ჩატარებას. ფეხბურთი და ჭადრაკი – ასეთია მათი არჩევანი. ჭადრაკის რა მოგახსენოთ, მაგრამ, აი, ფეხბურთი ნამდვილად სწორი არჩევანი გამოდგა ნინოშვილის სკოლისთვის. ლანჩხუთის გოგონათა გუნდი ხომ საქართველოს ჩემპიონია ფეხბურთში, **თინათინ ჯიჯიეშვილი** კი ამ გუნდის მეკარეა (სპორტის პედაგოგი – **ომარ ღლონტი**).

ამბობს, რომ არავითარი ძალდატანება არ სჭირდება გოგონებთან მუშაობისას, პირიქით, დიდი ხალისით ვარჯიშობენ და ბიჭებზე უკეთაც თამაშობენ ფეხბურთს. რაც შეეხება სკოლისგარეშე ღონისძიებებს, დიდი არჩევანი არც აქვთ ნინოშვილელ მოსწავლეებს. მუსიკის მასწავლებელი **ნანა მიქაბერიძე**, რომელიც პარალელურად ბაღშიც მუშაობს, რომელიმე პედაგოგთან ერთად, საკუთარი ინიციატივით თუ მოაწყობს რაიმე საღამოს, თორემ შტატით სკოლას დირექტორის მოადგილე ორგანიზატორულ მუშაობაში არ ეკუთვნის. როგორც ბატონი აკაკი ამბობს, რაიონის სკოლებს იურისტი ემსახურება, რომელსაც თითოეული სკოლა, საკუთარი ბიუჯეტიდან, 100 ლარს უხდის. სხვათა მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ ეს ფული, ფაქტობრივად, არამიზნობრივად დახარჯული ფულია და მისი არჩევანი რომ იყოს, ამ თანხის საფასურად მოადგილეს აიყვანდა, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, იურისტს თავადაც იშოვიდა. ვფიქრობ, გასათვალისწინებელი აზრია, რადგან როცა სკოლას ელემენტარული თვალსაჩინოება, საკუთარი ბიბლიოთეკა, ინვენტარი არ გააჩნია, იურისტისთვის ხელფასის გადახდა არც ისე გონივრული გადაწყვეტილებაა! საბაზო სკოლებს სპეციფიკური პრობლემები აქვთ და მათი გამართული ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა სოფლის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ხელშეწყობასაც ნიშნავს.

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

ამ წერილით ვასრულებთ წერილების ციკლს, რომლებიც ეხებოდა სასერტიფიკაციო გამოცდას საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში. როგორც წინა წერილში დაგპირდით, ამჯერად წარმოგიდგენთ VII ტიპის დავალებას – რუკის ანალიზს. წლევანდელი წლის გამოცდაზე წარმოდგენილ რუკას ახლდა შემდეგი ტიპის დავალებები – რომელი საუკუნეების მიჯნაზე არსებული ვითარებაა ასახული რუკაზე? რა ინფორმაციამ მიგიყვანათ ამ დასკვნამდე? რომელი სახლმწიფოა გამოსახული ყავისფრად? და ა. შ. კონკრეტულად ამ დავალების შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის წლევანდელ გამოცემაში. ამ ტიპის დავალების შესრულების დროს კარგად დაუკვირდით და გაიაზრეთ რუკაზე მოცემული ინფორმაცია და ისე შეასრულეთ დავალება. მაგალითად, ტესტში შემოგთავაზეს საქართველოს რუკა მეზობელი სახელმწიფოებით, ამ სახელმწიფოების მითითების გარეშე (რუკაზე დატანილია მხოლოდ ქალაქები სახელწოდებით, მაგ. განჯა, ყარსი, ვლადიკავკაზი და ა. შ.). ასევე რუკაზე ერთი ტიპის ისრებით ნაჩვენებია საქართველოზე თავდასხმა სხვადასხვა მხრიდან: ჩრდილოეთიდან – აფხაზეთის და ვლადიკავკაზიონის მიმართულებები, აღმოსავლეთიდან – კახეთის და სამხრეთიდან – შულავერის მიმართულებები; სხვა ტიპის ისრებით ასახულია სამხრეთიდან შემოტევა ახალციხის და ართვინი-ბათუმის მიმართულებებით. იქვე დასმულია შემდეგი კითხვები და მოცემულია დავალებები:

კითხვები:

1. როგორ დაასათაურებდით ამ რუკას?

2. გაკვეთილზე რომელი კონკრეტული ისტორიული თემის დამუშავებისას გამოიყენებდით?

3. რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს? (დაწერეთ სრული პასუხები)

4. მოცემული რუკიდან გამომდინარე მოსწავლეებს რომელ ორ შეკითხვას დაუსვამდით? (დასვით ისეთი კითხვები, რომლებიც რუკაზე არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გარკვეული პროცესების ან მოვლენების აღწერას მოითხოვს. იქვე მიუწერეთ პასუხი, რომელიც თქვენ სწორად მიგაჩნიათ).

მე მგონი პირველ სამ კითხვაზე თქვენთვის უკვე ნათელია პასუხები: 1. საბჭოთა რუსეთის და თურქეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოზე 1921 წლის დასაწყისში; 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში; 3. საბჭოთა რუსეთი, საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანი და სომხეთი და თურქეთი. რაც შეეხება მეოთხე კითხვის პასუხს, მე შემოგთავაზებთ ასეთ ვარიანტებს: ა. კითხვა: რუკის მიხედვით, ძირითადად რომელი მიმართულებით წარიმართა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შეტევა? პასუხი: რუსეთის წითელი არმიის შეტევა ძირითადად თბილისისკენ იყო მიმართული ბ. დამოუკიდებელი საქართველოს რომელ ტერიტორიას არ შეეხო რუსეთის არმიის ინტერვენცია და რატომ? პასუხი: წითელი არმიის შეტევა საქართველოში არ განვითარდა ართვინის მიმართულებით, რადგან საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ეს ტერიტორია თურქეთს დაუთმო. სხვა ასეთი ტიპის დავალებებს შეგიძლიათ გაეცნოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცემებში და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგებზე.

წლევანდელ გამოცდაზე ბოლო IX ტიპის დავალება იყო გაკვეთილის დაგეგმვა. მოცემული იყო კონკრეტული თემა; აპლიკანტებს უნდა ჩამოეყალიბებინათ გაკვეთილის მიზანი, ასევე ამ მიზნის მიღწევის პროცესში რომელ უნარ-ჩვევის(ების) განვითარებას შეუწყობდნენ ხელს, მიზნის მიღწევაში ხელშემწყობ რომელ დამატებით რესურსს გამოიყენებდნენ და ამ რესურსის დახმარებით რომელ აქტივობას ჩაატარებდნენ და როგორ? რათა მომავალში უკეთ შეასრულოთ ასეთი ტიპის დავალება, გაგახსენებთ გაკვეთილის დაგეგმვის ცხრილს.

1. თემა	2. სასწავლო მიზნები	3. შემოწმება-შეფასება	4. აქტივობები	5. მოსწავლის ორგანიზება	6. დროის განაწილება	7. რესურსები

ქვემოთ დავახასიათებ თითოეულ კომპონენტს:

1. თემა – ამ სვეტში იწერება კონკრეტული თემა, რომელსაც განიხილავთ გაკვეთილზე.

2. სასწავლო მიზნები – თითოეულ გაკვეთილს აქვს კონკრეტული სასწავლო მიზანი. სასწავლო მიზანი მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც განსაზღვრავს გაკვეთილის დროს სასწავლო აქტივობებს და შეფასებას; სასწავლო მიზნები გამოხატავენ იმას, რასაც სწავლის პროცესში მივაღწევთ, ანუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ მოსწავლეები. სასწავლო მიზანი მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც განსაზღვრავს გაკვეთილის დროს სასწავლო აქტივობებს და შეფასებას; ანუ იმის მიხედვით თუ რა მიზანი დაისახეთ კონკრეტულ გაკვეთილზე, დაგეგმავთ სასწავლო აქტივობებს და შეაფასებთ მოსწავლის წარმატებას. თქვენ შეაფასებთ იმას, თუ რამდენად შესრულდა დასახული სასწავლო მიზანი. მიზანი იწერება კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად. მაგალითად, გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები *გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, გააანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ* და *ა.შ.*

3. შეფასება – შეფასებით ვგებულობთ მივაღწიეთ თუ არა მიზანს, რამდენ მოსწავლეზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედეგს მივაღწიე? შეფასება არის ორი ტიპის –განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუ თქვენ მოსწავლეს აფასებთ მხოლოდ ქულით – ეს არის განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება შესაძლოა იყოს საშინაო დავალების, საკლასო დავალების, შემაჯამებელი სამუშაოების და ა. შ. შეფასება. იგივე შესაძლოა იყოს განმავითარებელი იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ქულას არ ვწერთ და მოსწავლეს ვაფასებთ კომენტარებით (წერილობით ან ზეპირად). ამისათვის თქვენ გამოიყენებთ სხვადასხვა ხერხებს (კითხვა-პასუხი, ზეპირი და წერითი დავალებები, პრეზენტაცია, დისკუსია, შემაჯამებელი სამუშაოები) და შეფასების ცხრილებს.

4. აქტივობები – აქტივობების შერჩევის დროს უნდა გაითვალისწინოთ სასწავლო მიზანი და ისინი თქვენი კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა შეარჩიოთ. აქტივობებია ის, რასაც გაკვეთილის დაწყების პირველი წუთიდან ბოლომდე აკეთებთ თქვენ და აკეთებენ მოსწავლეები. აქტივობების დაგეგმვის და ჩატარების დროს სასურველია გამოიყენოთ სწავლების სხვადასხვა მეთოდები. სანამ აირჩევთ სასწავლო აქტივობებს, აუცილებელია დაფიქრდეთ მოსწავლეების ცოდნასა და უნარებზე, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებაზე. შესაძლოა, სახელმძღვანელოში ან მასწავლებლის წიგნში მოცემული იყოს აქტივობა (აქტივობები), რომელიც არ შეესაბამება თქვენი კლასის ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში, გაკვეთილის აქტივობებს დაგეგმავთ კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე.

5. მოსწავლეთა ორგანიზება – მოსწავლეთა ორგანიზების სულ ოთხი ფორმა არსებობს. ესენია – მთელ კლასთან მუშაობა, ინდივიდუალურად მოსწავლის მუშაობა, წყვილებში და ჯგუფური მუშაობები. მოსწავლეთა ორგანიზება პირდაპირ კავშირშია აქტივობებთან; ანუ გაკვეთილის დაგეგმვის დროს თქვენ არჩევთ, თითოეულ აქტივობას რომელი ორგანიზების ფორმით ჩაატარებთ.

როგორც წყვილებში, ასევე ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს შემდეგი უნარ-ჩვევების განვითარებას:

- ♦ აქტიური მოსმენა;
- ♦ საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია;
- ♦ სხვისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება;
- ♦ დასკვნების გამოტანა;
- ♦ თანამშრომლობა;
- ♦ კომუნიკაცია.

6. დროის განაწილება პირდაპირ კავშირშია აქტივობებთან. გაკვეთილის დაგეგმვის დროს თქვენ განსაზღვრავთ, თუ რომელ აქტივობას რამდენ დროს დაუთმობთ – მაგ. სახელმძღვანელოს ტექსტზე მუშაობას – 7 წთ.; ამ ტექსტის დავალებების შესრულებას (ზეპირი, წერითი) – 10 წთ.; დისკუსიის ჩატარებას – 15 წთ. და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქტივობა ძალიან კარგად მიმდინარეობს (მაგ. დისკუსია ან დებატები), მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასწავლო მიზანი სრულდება ანუ შედეგს აღწევთ, შეგიძლიათ გადაუხვიოთ გეგმას და აქტივობის წინასწარ განსაზღვრული დრო გააგრძელოთ.

7. რესურსები – სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს წინასწარ განსაზღვრავთ, თუ კონკრეტული სასწავლო მიზნის მისაღწევად რა რესურსები გჭირდებათ. ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოა. სხვა რესურსებია: დამხმარე და სამეცნიერო ლიტერატურა, ნივთიერი მასალა, რუკები, ფოტოები, პლაკატები და ა. შ.; ანუ ყველაფერი ის, რასაც გამოიყენებთ საგაკვეთილო პროცესის დროს. ამ დროს უნდა განსაზღვროთ, სასწავლო პროცესის და მიზნის უზრუნველსაყოფად რა რესურსებია საჭირო? არის ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში ან თემში? ხშირად ის რესურსები, რომელიც გჭირდებათ არ გაქვთ ან ვერ გამოიყენებთ მათი დიდი ფასის გამო. ამ დროს, შესაძლებელია ჩანაცვლება იმით, რაც ხელმისაწვდომია. როდესაც ნივთიერ წყაროებზე საუბრობთ შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი და ახალი ყოფითი და საოჯახო ნივთები (თიხის, ლითონის, ხის – ნაკეთობები), საოჯახო ფოტოალბომები, წერილები, ხელმისაწვდომი დამხმარე ლიტერატურა. წყაროებთან და თვალსაჩინოებებთან მუშაობა ხდება როგორც საკლასო ოთახში, ასევე კლასის გარეთ – სკოლის ეზოში, ექსკურსია-ლაშქრობაში, შესაძლებლობის შემთხვევაში მუზეუმებში და ა.შ.).

ახლა შემოგთავაზებთ ერთ კონკრეტულ თემაზე დაგეგმილ გაკვეთილს იმ დავალების გათვალისწინებით, რომლებიც წლევანდელ გამოცდაზე შეასრულეს აპლიკანტებმა. თემა: ფეოდალიზმი საქართველოში. გაკვეთილის მიზანია – მოსწავლე გააანალიზებს ფეოდალიზმის გენეზისს და იმსჯელებს ქალაქის და სოფლის არათანაბარი განვითარების მიზეზებზე ან საქართველოს ქალაქებს შეადარებს ევროპისას, უჩვენებს მსგავსება-განსხვავებებს (შესაძლოა ორივე ერთად). ამ მიზნის მიღწევისათვის მოვიტან წერილობით ინფორმაციას (წყაროს) ევროპული ფეოდალიზმის შესახებ (მაგ. თეორიას სამი წოდების შესახებ). მოსწავლეები შეადარებენ სახელმძღვანელოს პარაგრაფის ტექსტს და წყაროებს ჩემ მიერ მოტანილ დამატებით რესურსს და იმსჯელებენ ქალაქის და სოფლის არათანაბარი განვითარების მიზეზებზე და საქართველოს და ევროპის ქალაქების შედარების საფუძველზე უჩვენებენ მსგავსება-განსხვავებებს. ამ პროცესში მოსწავლეს განუვითარდება ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა ანალიზის და არგუმენტაციის უნარები.

ამით ვასრულებ წერილების ციკლს, რომელიც ეხებოდა ისტორიის მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებს. იმედია, ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ამ წერილებში ხელს შეგიწყობთ გამოცდის წარმატებით დაძლევაში. გისურვებთ წარმატებას!

ბესიკ ლორთქიფანიძე
ისტორიის დოქტორი,
თბილისის №20 საჯარო სკოლის და
სკოლა „ანი-ზეტის“ ისტორიის მასწავლებელი,
ილიას უნივერსიტეტის ლექტორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ტრენერი

პედაგოგთა დასახმარებლად

სიტუაციური ამოცანები და თეორიული მასალა

გაგრძელება
დასაწყისი იხ. №37

დავალება 20.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ „დახურულ" და „დაბალი დონის" შეკითხვაზე პასუხისთვის დრო 3 წმ-ზე ცოტა მეტია, „ღია" და „მაღალი დონის" შეკითხვაზე – 15წმ.

დაასახელეთ ორი მიზეზი, როცა ექსპერტთა შემოთავაზება შეიძლება დაარღვიო.

სავარაუდო პასუხები

1. როცა კლასში არის 1 ან მეტი მოსწავლე, რომელიც ნელა აზროვნებს, მეტ დროს ანდომებს პასუხის გაცემას (თუ ექსპერტთა დრო გამოვიყენეთ, ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეს გაკვეთილზე დავკარგავთ);
2. როცა ვხედავთ, რომ ბავშვი მიდის სწორი პასუხისკენ, მას ერთი-ორი წამი, შეიძლება მეტიც, უნდა დავუმატოთ.

„დაბალი დონის" შეკითხვა ფაქტობრივ მასალაზეა აგებული. „მაღალი დონის" შეკითხვა მოითხოვს მსჯელობას, აზროვნებას.

თუ ფაქტობრივ მასალასთან დაკავშირებულ კითხვებს მოსწავლეთა 60-80% გასცემს პასუხს, შეიძლება ავხსნათ ახალი მასალა.

დავალება 20

როდის, გაკვეთილის რა ნაწილში აქვს ადგილი მოსწავლეთა მხრიდან შეუფერებელ ქცევას, როდის ჭირს მათი მართვა?

სავარაუდო პასუხები:

1. გაკვეთილის დასაწყისში (მაგ., როცა ბრუნდებიან სასადილოდან, ფიზკულტურის გაკვეთილიდან);
2. გაკვეთილის დასასრულს;
3. გაკვეთილზე ზედმეტი დროის დარჩენის შემთხვევაში (მალე შეასრულეს დავალება, სხვები კი წერენ);
4. გაკვეთილის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის დროს.

დავალება 21

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომელმაც იცის ზემოთ აღნიშნული შემთხვევები, როცა მოსწავლეთა მხრიდან შეუფერებელ ქცევას აქვს ადგილი?

სავარაუდო პასუხები:

1. მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს მოსწავლეთა ქცევის პროცედურები (თუ ადრე დაამთავრებს რომელიმე მოსწავლე, ამოწმებს პასუხებს ან კითხულობს წიგნს);
2. მასწავლებელს ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს დამატებითი მასალა;
3. წესებისა და პროცედურების რაოდენობა, რაც შეიძლება, უნდა შემცირდეს, მათი შესრულება კი ყველა მოსწავლეს უნდა მოეთხოვოს. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რატომ უნდა დაიცვან ესა თუ ის წესი;
4. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს გაკვეთილის უწყვეტი მსვლელობის პროცესს და თავიდან აიცილოს ისეთი ქმედებები, როგორიცაა: დაყოვნება, თემიდან დროებითი გადახვევა, საკითხიდან საკითხზე გადახტომა (ეს აბნევს მოსწავლეს), უკვე ნაცნობის 100-ჯერ გამეორება (ბეზრდებათ);
5. დავალების მიცემის დროს მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას მის საგანმანათლებლო მნიშვნელობას, მოსწავლეს არ უნდა შევუქმნათ შთაბეჭდილება, რომ დავალება დასჯის ფორმაა.

დავალება 22

დაასახელეთ 3 პოზიტიური მიზეზი, რის გამოც მიგაჩნიათ, რომ დემოკრატიული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

სავარაუდო პასუხები:

♦ ბავშვები მოტივირებული არიან (აქვთ არჩევანის უფლება, თვითონ არიან გაკვეთილის შემოქმედნი და მონაწილე);

♦ თავისუფლად გრძნობენ თავს, ეკითხებიან მასწავლებელს რა ვერ გაიგეს, გრძნობენ მის თანაგრძნობასა და თანადგომას;

♦ მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედების საშუალება;

♦ იციან, რომ მათ არ დასცინებენ და სასწავლო პროცესის ღირსეულ წევრებად თვლიან;

♦ კლასში სუფევს კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

დავალება 23

დაასახელეთ 3 ნეგატიური მიზეზი, რის გამოც მიგაჩნიათ, რომ სწავლების ავტორიტარული სტილი ხელს შეუშლის მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

სავარაუდო პასუხები:

1. მოსწავლეებს აქვთ დაბალი მოტივაცია, ვინაიდან არაა გათვალისწინებული მათი ინტერესები და შესაძლებლობები, არა აქვთ არჩევანის შესაძლებლობა;
2. თავისუფლად ვერ ეკითხებიან მასწავლებელს რა ვერ გაიგეს, რის გამოც რჩებათ გაურკვეველი საკითხები;
3. ვერ ვლინდება ბავშვთა შესაძლებლობები და უნარები სრულყოფილად;
4. იზღუდება მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნება.

დავალება 24

დამწყებმა მასწავლებელმა კათედრის სხდომაზე კოლეგებს შესჩივლა:

– კლასი იმდენად სუსტია, რომ ჯგუფური მუშაობის დროს დავალების შესრულებას მოცემულ დროში ვერ ახერხებენო.

რა რჩევას მისცემდით ამ მასწავლებელს?

პასუხები:

მასწავლებელმა დროის ხანგრძლივობა სამუშაოს სირთულის მიხედვით უნდა განსაზღვროს, თუ ბავშვები სწორი გზით მიდიან, შეუძლია დრო დაუმატოს.

დავალება 25

რა პოზიტიური მხარე აქვს ჯგუფურ მუშაობას?

სავარაუდო პასუხები:

ჯგუფური მუშაობა იწვევს:

♦ მოსწავლეთა მოტივაციას;

♦ მათ მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში;

♦ ცოდნის განმტკიცებას;

♦ უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

დავალება 26

რა აქვს უარყოფითი მოსწავლის სიმორცხვეს?

სავარაუდო პასუხები:

♦ თავს არიდებს პასუხს;

♦ პასიურობს;

♦ არ ერთვება გაკვეთილის პროცესში;

♦ ნაკლებად ჰყავს მეგობრები;

♦ ხშირად მარტოა;

♦ არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში.

დავალება 27

ქეთი მასწავლებელს დღეს გაკვეთილზე სასწავლო ნაწილი დაესწრო. მასწავლებელს გაკვეთილი დაგეგმილი ჰქონდა და კარგად წარმართა. მხოლოდ ის აღელვებდა, რომ 3 სერიოზული შეკითხვა ჰქონდა მომზადებული შესაჯამებლად, მაგრამ გულს იმით იმშვიდებდა, რომ მათზე პასუხის გაცემას წარჩინებული მოსწავლე მარი კაკაბაძე მაინც შეძლებდა. მასწავლებელმა გამოიყენა 4 ახალი აქტივობა, შეძლო მოსწავლეთა გამოწვევა, ბოლოს მარის დაუსვა 3 შემაჯამებელი კითხვა. გოგონამ სამივეს კარგად უპასუხა. ქეთი კმაყოფილი დარჩა გაკვეთილით და ბავშვებს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის. როცა გაკვეთილი გააანალიზეს, სასწავლო ნაწილმა 1 შენიშვნა მისცა ქეთის და ურჩია...

თქვენი აზრით, რა ურჩია სასწავლო ნაწილმა მასწავლებელს? (რა შენიშვნა მისცა?)

პასუხი:

მასწავლებელმა შეკითხვები იმას კი არ უნდა დაუსვას მხოლოდ, ვინც იცის, არამედ სხვასაც (სუსტსაც) უნდა მისცეს, თუნდაც არასწორი პასუხის გაცემის საშუალება.

დავალება 28

დაასახელეთ 3 პირობა იმისა, თუ რაში ეხმარება მოსწავლეებს შემოწმება (რა არის შემოწმების მიზანი?)

სავარაუდო პასუხები:

შემოწმება ეხმარება მოსწავლეებს:

1. სწავლაში, მისი საშუალებით აცნობიერებენ, რა იციან, რას მიაღწიეს და რა უნდა გააუმჯობესონ;
2. სწავლის პროცესის გაანალიზებასა და ახალი მიზნის დასახვაში;
3. სტიმულს აძლევს და ეხმარება ისეთი უნარების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

დავალება 29

დაასახელეთ 3 პირობა იმისა, თუ რაში ეხმარება მასწავლებელს შემოწმება.

სავარაუდო პასუხები:

მასწავლებელს შემოწმება:

1. აწვდის ინფორმაციას მოსწავლეების შესახებ და სწავლებას ამ ინფორმაციის შესაბამისად წარმართავს;
2. აწვდის სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის საჭირო ინფორმაციას;
3. საშუალებას აძლევს განსაზღვროს შესაბამისი მიზანი;
4. საშუალებას აძლევს შეაფასოს თავისი შრომის ეფექტიანობა.

დავალება 30

დაასახელეთ 3 პირობა, თუ რა კონკრეტული მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენო გაკვეთილზე კითხვები.

სავარაუდო პასუხები:

1. ინტერესის გასაღვივებლად;
2. არსებული ცოდნის დასადგენად, გამოსაკვლევად;
3. ახალი მასალის გაგების ხარისხის დასადგენად;
4. აზროვნების, მსჯელობის გასავითარებლად.

დავალება 31

როგორი უნდა იყოს სასწავლო მიზანი?

სავარაუდო პასუხები:

♦ კონკრეტული;

♦ ნათელი;

♦ გაზომვადი;

♦ მიღწევადი;

♦ რელევანტური (შესაბამისი);

♦ დროში გათვლილი.

დავალება 32

ბიჰევიორისტული თეორიის შესაბამისად, სწავლების მეთოდები გამოიყენება:

ა) მთლიანად კლასზე, ბ) მთლიანად საგანზე, გ) მოსწავლეზე, დ) მასწავლებელზე.

სწორი პასუხი: ა, ბ.

დავალება 33

მიუსადაგეთ თეორია ან თეორეტიკოსი:

ა) საგნით გათვალისწინებული ცოდნა გადაეცემა ლოგიკური თანმიმდევრობით, გაგება არის ეფექტიანი და სწრაფი გზა სწავლისთვის;

ბ) საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობა, მოსწავლე დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაში, რაც ხელს უწყობს ნათლად აზროვნებასა და პროგნოზირებას;

გ) პოზიტიური მოტივაცია განაპირობებს მასალის უკეთ გაგებასა და აზროვნების გააქტიურებას, ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას (თანამშრომლობის განვითარებას).

პასუხი:

ა) ბიჰევიორიზმი (სკინერი);
ბ) კონსტრუქტივიზმი (ბრუნერი);
გ) სოც. კონსტრუქტივიზმი (ვიგოდსკი).

დავალება 34

დაასახელეთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მახასიათებლები.

სავარაუდო პასუხები:

♦ მოსწავლე – აქტიური, მასწავლებელი – პასიური;

♦ სწავლება – ინდივიდუალური, ჯგუფური.

♦ მოსწავლეები თვითონ ადგენენ ქცევის წესებსა და კლასის შინაგანაწესს;

♦ საკლასო ოთახი მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ჯგუფურად და ინდივიდუალურად მერხების განლაგება.

დავალება 35

რა აქვს დადებითი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას? დაასახელეთ რამდენიმე პირობა.

სავარაუდო პასუხები:

♦ ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისებას, აღქმას;

♦ სწავლას კეთებით – გამოცდილების საფუძველზე პრაქტიკით სწავლას;

♦ ამაღლებს მოტივაციას.

დავალება 36

დაასახელეთ, რა უნარ-ჩვევების განვითარებაა შესაძლებელი როლური თამაშით?

სავარაუდო პასუხები:

1. სოციალური;
2. ფიზიკური;
3. ემოციური;
4. ინტელექტუალური;
5. კვლევითი;
6. წარმოსახვითი.

დავალება 36

როგორ ეხმარება როლური თამაში მასწავლებელსა და მოსწავლეს?

სავარაუდო პასუხები:

♦ თამაშის დროს მოსწავლეები იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას, მასწავლებელი აძლევს მიმართულებას და უფართოებს შესაცნობ არეს. ასეთი გზით ცოდნა და უნარები იზრდება სპირალისებურად.

♦ თამაში აღძრავს მოტივაციას;

♦ როლური თამაში შერწყმულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან, ავლენს მათ უნარებს;

♦ უვითარებს მოსწავლეებს თავდაჯერებულობას;

♦ მასწავლებელს ეხმარება შესასწავლი თემის გაფართოებაში;

♦ მოსწავლეებს უადვილდებათ მასალის აღქმა.

ქეთევან კუბლაშვილი
პედაგოგი, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი

ინფორმაცია

ქართული კალიგრაფიის ადორძინებისთვის

ლალი ჯელაძე

14 დეკემბერს, დიდუბე პლაზაში, ქართულ ხელნაწერთა ქომაგებმა მოიყარეს თავი. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და PH International-ის მხარდაჭერით ხორციელდება, თბილისის რეგიონის სასკოლო სამოქალაქო განათლების კლუბების ერთობლივი ინიციატივით გაიმართა ღონისძიება კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზებისა და ადვოკატირების საკითხებში. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული კალიგრაფიის კონკურსებში გამარჯვებულის, აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონის, **ლეილა ბაღბაიას** ნამუშევრები. ჩატარდა მასტერკლასი ქართულ კალიგრაფიაში, რომელსაც ქართველი კალიგრაფები წარუძღვნენ. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ: ფონდი „თბილისის მოზარდთა სახლი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანი“.

ბელა კოპალიანი, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების თბილისის რეგიონის პროექტის მენეჯერი: *„დღევანდელი ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმით, რომ გვინდა ქართული სულიერებისა და კულტურის პოპულარიზებას გავუსვათ ხაზი. საქართველოს სკოლებში პროექტი რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ერთ-ერთი მიმართულება სამოქალაქო კლუბების დაარსებაა. დღეისათვის პროექტი 570 სკოლაში მუშაობს; მეორე მიმართულება საქართველოს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადებაა, სერტიფიცირებული პროგრამების ფარგლებში; მესამე – საგრანტო მიმართულება; შემდეგი მიმართულება – განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საზაფხულო ბანაკების მოწყობა. პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, ასევე, სოციალური მედიის აქტიური ჩართვა საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესებში. აღნიშნულ პროექტს მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დღევანდელი შეხვედრა სწორედ სასკოლო სამოქალაქო განათლების კლუბების ინიციატივითაა ორგანიზებული, რომელიც ძალიან მოგვეწონა და დავაფინანსეთ. სწორედ დღევანდელი ღონისძიებით განხორციელდა ქართული კალიგრაფიის ადვოკატირება. თბილისის სკოლების სამოქალაქო განათლების აქტიურმა კლუბებმა ადვოკატირების პირველი ეტაპი უკვე ჩაატარეს, ამ პროცესში 15 ორგანიზაცია ჩაერთო როგორც ბიზნესის სტრუქტურიდან, ისე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან. ანუ მოვიძიეთ ფონდები იმისთვის, რომ ქალბატონმა ლეილა ბაღბაიამ, რომელიც ჩვენი დღევანდელი ღონისძიების მთავარი წარმომადგენელია, ჩაატაროს მასტერ კლასი იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც ქართული კულტურა, ისტორია და კალიგრაფია მნიშვნელოვანია, ვისაც არ უნდა, დაიკარგოს ჩვენი განძი და ქართული სული. ოდითგანვე ვამაყობდით ქართველი კალიგრაფებით და ძალიან ბევრი კულტურის ნიმუში სწორედ ხელითაა გადაწერილი, მათ შორის ქართველების ყველაზე დიდი სიამაყე – „ვეფხისტყაოსანი“. ადვოკატირების ეს პროცედურა, რომელიც ფონდების მოძიებას ისახავს მიზნად, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, დღევანდელი დღით დაიწყო და, რაც მთავარია, დაიწყო წარმატებულად. დარწმუნებული ვარ, დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს და კალიგრაფიის ბევრი ქომაგი შემოგვიერთდება. დღევანდელი ექსპოზიციის შემქმნელი კი, წლების განმავლობაში რუდუნებით მუშაობდა, თავისთვის, ჩუმად, შეუმჩნევლად ქმნიდა იმ საოცარ ნიმუშებს, რომელიც დღეს თქვენ წინაშეა გამოფენილი და ასეთ აღფრთოვანებას იწვევს. უბრალოდ, ჩვენ მივეხმარეთ მხოლოდ იმაში, რომ კარგად შეგვეფუთა და სამზეოზე გამოგვეტანა. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლეილა ბაღბაიას ასეთი კარგი, მამულიშვილური საქმის კეთებისთვის“.*

ღონისძიების ინიციატორი აქტიური კლუბები წარმოდგენილი იყვნენ თბილისის 5 სკოლის მოსწავლეებით – პირველი ექსპერიმენტული სკოლა, მე-6 საავტორო სკოლა, მე-10, 169-ე და 90-ე საჯარო სკოლები. ეს კლუბები სწორედ ქართული კულტურის პოპულარიზებამ გააერთიანა და ქართული კალიგრაფიის მიერ განვლილი დიდი და მნიშვნელოვანი გზა ასეთი საინტერესო ღონისძიებით წარმოადგინეს. როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, კლუბები განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ხელოვნებას და მის ცალკეულ განშტოებებს უთმობენ. ღონისძიებას განსაკუთრებული მუხტი და ემოცია საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანის“ მოზარდთა მიერ წარმოდგენილმა ლიტერატურულმა კომპოზიციამ შესძინა.

საღამო ძალიან თბილი და მართლაც ემოციური აღმოჩნდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **გია გვაზავამ** დიდი სიამაყით აღნიშნა, რომ ქალბატონი ლეილა აფხაზეთიდანაა: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლეილას ასეთი საინტერესო დღისათვის. მას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დავაჯილდოვებთ. დიდი მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს და ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ამ დარბაზში იმყოფებიან და ეზიარებიან ქართულ კულტურას, ქართულ სიტყვას და დამწერლობას. რაც აქ ხდება, მართლაც საამაყოა. 14 დამწერლობიდან რომ ერთ-ერთი ჩვენია, ბუნებრივია, განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას იწვევს. ამ საგანძურს გაფრთხილება სჭირდება. ამას ძალიან ბევრი დიდი სახელმწიფო და ერი ნატრობს. ლინგვისტი არ ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო, კიდევ უფრო ღრმად შეისწავლიან იმას, თუ რა წაიღეს არგონავტებმა ჩვენი ქვეყნიდან – პირველ რიგში, ეს სწორედ დამწერლობა იქნებოდა. შესაძლოა, ჩვენი დამწერლობა ბევრ სხვა დამწერლობასაც დაედო საფუძვლად.“

ლეილა ბაღბაიას ხელნაწერებზე ისაუბრა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა **ელენე მაჭავარიანმა**: *„ეს ღონისძიება, ვფიქრობ, გაგრძელებაა იმ დიდი სასწავლო ღონისძიებისა, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უკვე მესამე წელია ტარდება. ლეილა ბაღბაია კალიგრაფიის კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულია. განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევა. ქართული ხელოვნებისადმი სიყვარული იმ დაუშრეტელი ფანტაზიის ნაყოფია, რაც მან თავის ნამუშევრებში აღბეჭდა. კერამიკა, ფაიფური, ტყავი, ქვა, ქაღალდი – მნახველის დიდ ყურადღებას იქცევს. ძველ ქართულ ხელნაწერებში ოსტატებს, გადამწერებს, მომხატველებს, თუნდაც ჭედური ხატის შემსრულებლებს „მოქმედი“ ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „მოქმედი“ განმარტებულია, როგორც მშრომელი, ქალბატონ ლეილა ბაღბაიას ეს ეპითეტი სწორად მიესადაგება. ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს, იმიტომ, რომ ნიჭს ფართო გზა უნდა ჰქონდეს. მომავლისთვის მან არა მარტო უნდა შექმნას, არამედ ახალგაზრდა თაობა უნდა აღზარდოს.“*

ვაჟა-ფშაველას შთამომავლის, **ლელა რაზიკაშვილის** სიტყვამ გამოფენას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა, რადგანაც მან ამ საქმეს „უკვდავება“ უწოდა: *„დღეს აქ ძალიან ბევრი მადლობის სიტყვა ისმის და ეს ლოგიკურიცაა. მეტი რა გვეთქმის, როცა ადამიანები ქმნიან ქმნილებებს, შემოქმედების პროდუქტს და ჩვენ ამით ბედნიერებას გვანიჭებენ. განსაკურებით ბედნიერი ვარ ხოლმე მაშინ, როცა ვხედავ ახალგაზრდები, ბავშვები, პატარები, ჩვენი მომავალი თაობა ფესვებს უბრუნდება – იწყებენ მის შესწავლას, კვლევას და შემდეგ პოპულარიზებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ამას მომავალში წაიღებენ, ჩემთვის კი სწორედ ეს არის უკვდავება და მე ამით ბედნიერი ვარ. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, განსაკუთრებით კი ლეილა ბაღბაიას. ჩვენ ერთმანეთს უნივერსიტეტში მოწყობილ კალიგრაფთა გამოფენაზე შევხვდით. საერთაშორისო გამოფენა ვაჟას მიეძღვნა. მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ ვაჟაზე საუბარს, მე იქ შესრულებულ თითოეულ ნამუშევარს ფერწერულ ტილოდ მივიჩნევ. უფლის სიტყვამაც სწორედ ხელით დაწერილმა მოაღწია ჩვენამდე. რუსთაველამდე და ვაჟამდეც ძალიან ბევრ დიდ მწერალს გაუმართლა, მათ ხომ სწორედ კალიგრაფებით გადმოაგორეს საუკუნეები. გაუმართლა ვაჟასაც, რადგანაც ამ თაობამ, ქალბატონმა ლეილამ და სხვებმა შექმნეს ვაჟას შემოქმედების ხელნაწერები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა დღევანდელი ტექნოლოგიების თაობაში. მეორე მხრივ კი, როცა ვაჟას, რომელიც სიტყვით ხატავდა სამყაროს, შებედავ და მისი სიტყვის დახატვას ეცდები, ამით, გარკვეულწილად, შემოქმედებით გმირობასაც იჩენ. დიდი მადლობა ამისთვის ყველას, მადლობა კალიგრაფებს, რომ მომავალს ზრდიან, ამით კი უკვდავებას მიაგორებენ“.*

ქართველი კალიგრაფების მიერ ჩატარებული მასტერკლასი, ვინ იცის, ახალი კალიგრაფის აღმოჩენის საწინდარი გახდეს. ერთი რამ კი უდავოა, ასეთი ღონისძიებები მომავალში კალიგრაფიისა და, ზოგადად, ქართული კულტურისადმი ინტერესს გააორმაგებს.

ინფორმაცია

მომავალზე ფიქრით

20 დეკემბერს თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტისა და ტურიზმის აკადემიის სასწავლებლების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა.

სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მოწვეულმა სტუმრებმა... სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გაერთიანებული სასწავლებლების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**:

„მიმდინარე ეტაპი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების დარგის მუშაკებისათვის, რადგან წლების მანძილზე ტარდებოდა არაერთი ნაჩქარევი რეფორმა, რომლებსაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ეს მდგომარეობა გვავალებს ქვეყნის ახლებურად გარდაქმნის შესაბამისად ვიფიქროთ ეროვნული განათლების სრულყოფაზე, რათა ჩვენს ქვეყანას მაღალმოქალაქეობრივი შეგნების მქონე და, ამავე დროს, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აღვუზარდოთ.“

სხდომაზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ზურაბ სანადირაძე**; ლექტორები – პროფესორები: **ნინო სამჭკუაშვილი, ელიზა ოზბეთელაშვილი** და სხვები. გამომსვლელებმა საქმიანი მსჯელობა გამართეს, დაისვა რამდენიმე საყურადღებო საკითხი, რომელთა გადაწყვეტა უახლოეს მომავალში იქნება გათვალისწინებული.

გაერთიანებული სასწავლებლების სხდომაზე, ასევე, აღინიშნა ამ სასწავლებლების ღვაწლმოსილი ლექტორის, სრული პროფესორის, **ხვთისავარ არჩემაშვილის** დაბადებიდან 80 წლის იუბილე. მის ცხოვრებასა და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა ჟურნალისტმა, მწერალმა **ზურაბ ლომიძემ**: *„აღსანიშნავია ბატონი ხვთისავარის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა. განსაკუთრებით აღვნიშნავ მის თავგამოდებულ შემართებას ფშავ-ხევსურეთის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. ბატონი ხვთისავარი ქართული კულტურის ტრადიციებისა და სულიერების თავგამოდებულ დამცველად გვევლინება. სხვა უამრავ ჯილდოსთან ერთად, ამიტომაც დაიმსახურა მან როგორც ექვთიმე თაყაიშვილის, ასევე ნიკო ნიკოლაძის პრემიები. ვულოცავ ჩემს ერთგულ მეგობარს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, ჯანმრთელობას და გამძლეობას ვუსურვებ.“*

მანვე გააცნო დარბაზს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გულთბილი მილოცვა იუბილარისადმი: *„ბატონო ხვთისავარ, საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სამშობლოს სასიკეთოდ ფიქრსა და გარჯას.“*

ხვთისავარ არჩემაშვილს მიესალმნენ: ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდენტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **ნუგზარ წერეთელი**, ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის პრეზიდენტი, პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი**, საზოგადოება „მესხეთი-2001“-ის ვიცე-პრეზიდენტი **პავლე ნარიმანიშვილი**, პროფესორი **ციცინო ბუკია** და სხვები.

სტუდენტებმა წარმოადგინეს იუბილარის ლექსების მიხედვით დადგმული ლიტერატურული კომპოზიცია „თავისუფლება ქართველს სწყუროდა, თავისუფლებას ერქვა ქართველი“. მონაწილეობდნენ: **ვენერა ძულიაშვილი, გიორგი ტურიაშვილი, ტატო აბრამიშვილი, მარიამ დეკანოიძე, თეა ნადირაშვილი, ხვიჩა გამცემლიძე, რუთი ბარისაშვილი**. ასევე გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ბატონ ხვთისავარს სტუდენტები – **თათია მჟავანაძე, ნინო ჩიტიშვილი, სალომე ქორთუაშვილი** და სხვები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი უნივერსიტეტის ვოკალურ-ქორეოგრაფული ჯგუფების (ხელმძღვანელი – **ელისო მექვაბიშვილი** და **დავით კოპაძე**) მონაწილეობით. ისმოდა საშობაო „ალილო“, მესხური „მრავალჟამიერი“, პოპური აჭარულ და რაჭულ სიმღერებზე. მომღერლებს მოცეკვავეები სცვლიდნენ, მათ აღტაცებით შეხვდა დარბაზი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მსახიობ **ოთარ ანდღულაძისა** და **გიორგი ქურხულის** მიერ შესრულებულმა სკეტჩებმა.

იუბილარმა გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ლიანა ხმალაძე
ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რედაქციისგან

ვულოცავთ ბატონ ხვთისავარს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას.

იურისტის კონსულტაცია

რა რეკომენდაციებს აძლევს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა უფლებების უკეთესად დაცვის მიზნით?

2.1 ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი უნდა შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით: **სრულზე მეტი დატვირთავა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 19 და მეტი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას პედაგოგს უნდა მიეცეს ხელფასი ჩატარებული საათების შესაბამისად, სამართლიანი გაანგარიშებით.**

დასაბუთება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქციაში ამა წლის 19 სექტემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 19 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 5 ლარის ოდენობით, 20 საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 10 ლარის ოდენობით, 20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას კი მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 25 ლარის ოდენობით.

სპმთპ-ს მიაჩნია, რომ სრული განაკვეთის ხელფასზე სიმბოლური დანამატების განხორციელება ვერ უზრუნველყოფს შრომის სამართლიანი ანაზღაურების კონსტიტუციურ პრინციპს. სრულზე მეტი საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგთა შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს საათობრივი დატვირთვის შესაბამისად, სამართლიანი გაანგარიშებით.

3.1 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანებამ ახლებურად უნდა განსაზღვროს სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა. მისი შემადგენლობიდან ამორიცხულ უნდა იქნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები. მასწავლებელთა ინტერესების სათანადოდ წარმოდგენის საჭიროების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით წევრად შეყვანილ იქნას პედაგოგთა პროფკავშირის ერთი წარმომადგენელი. ამასთანავე, სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს.

დასაბუთება:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია მოიცავს სკოლის დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობას, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი არის სამეურვეო საბჭო. სკოლების ავტონომიურობა გულისხმობს სამეურვეო საბჭოების დაკომპლექტებას სკოლის შიდა სტრუქტურების წარმომადგენლებისაგან, სკოლის სამეურვეო საბჭოებში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების წევრად შეყვანით ირღვევა სკოლის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპი, ძლიერდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლის ცენტრალიზებული მართვის ბერკეტები. ამიტომ, სპმთპ თვლის, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები. ამასთანავე, საბჭოს თავმჯდომარეობის უფლება არ უნდა ჰქონდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს. სპმთპ თვლის, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოში პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლის წევრად შეყვანით, უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი და დაცული მასწავლებელთა საუკეთესო ინტერესები, ამასთანავე გაძლიერდება პროფესიული კავშირების როლი მასწავლებელთა უფლებების დაცვის საქმეში.

3.2 „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №448 ბრძანებით მიზანშეწონილია გაიზარდოს პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი ფუნქციები:

ა) პედაგოგიური საბჭო იხილავს მასწავლებელთა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის დასმის მიზანშეწონილობას დირექციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე;

ბ) პედაგოგიური საბჭო დისციპლინურ კომიტეტთან ერთად იხილავს მასწავლებლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს და იღებს შესაბამის დასკვნას, რომლის საფუძველზეც დირექტორი იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას;

გ) პედაგოგიური საბჭო დისციპლინურ კომიტეტთან ერთად ზედამხედველობას უწევს დირექციის მიერ სამართლიანი პროცედურის გამოყენებას პედაგოგთან შრომითი ურთიერთობის მოშლამდე.

დ) დირექციის წარდგინებით წინასწარ ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, სამეურვეო საბჭოზე საბოლოო დასამტკიცებლად წარდგენამდე.

დასაბუთება: დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პედსაბჭოს აქვს სიმბოლური ფუნქციები. იგი რეალურად ვერ გამოხატავს და ვერ იცავს მასწავლებელთა ინტერესებს დირექტორთა თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პედსაბჭოს აქვს შემდეგი ფუნქციები: ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

პედაგოგიური საბჭო მისი სიმბოლური ფუნქციებიდან გამომდინარე, ვერ იცავს მასწავლებელს უკანონო გათავისუფლებისაგან. სპმთპ თვლის, რომ პედსაბჭოს უფლება უნდა მიეცეს აქტიური ზედამხედველობა გაუწიოს სკოლების დირექციათა მიერ მასწავლებლების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს, პედაგოგთა ინტერესების დაცვას დირექტორთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისგან. სპმთპ თვლის, რომ შეთავაზებული ცვლილება ხელს შეუწყობს პედაგოგიური საბჭოების როლის ამაღლებასა და მათი ქმედითობის გაზრდას.

(რეკომენდაციები გაგრძელდება)

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სასკოლო ღონისძიება

„ჩვენ გვიყვარს მუსიკა“



სიმღერა, ცეკვა მოსწავლის შემოქმედებითი უნარების, გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ეს ის საგნებია, როცა მოსწავლე ყველაზე მეტად დაინტერესებულია და მისი ინტელექტუალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) მუსიკალური პროექტი-ვიქტორინის ჩატარება მესამე (კლასის ხელმძღვანელი – **ეკა ჩიკვილაძე**) და მეოთხე კლასებს (ხელმძღვანელი – **თინათინ გიორგაძე**) შორის სახელწოდებით „ჩვენ გვიყვარს მუსიკა“.

პროექტი დაიგეგმა ახალი 2012 - 2013 სასწავლო წლის დაწყებისთანავე კლასის ხელმძღვანელების მიერ. მოსწავლეებს ევალებოდათ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციების საფუძვლიანი შესწავლა, დამატებითი მუშაობა ინტერნეტში მასწავლებლის მიერ მითითებულ თემებსა თუ სიმღერებზე.

თითოეულმა კლასმა ჩამოაყალიბა გუნდები შემდეგი სახელწოდებებით:

მესამე კლასის გუნდი „მელოდია“ და მეოთხე კლასის გუნდი „დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი“. მათ წარმოადგინეს მისასალმებელი სიმღერები და ცეკვები. პროექტი-ვიქტორინა გახსნა მეოთხე კლასმა ინგლისური სიმღერით „Welcome to your classroom“ (ინგლისური ენის მასწავლებელი – **ნატო აბესაძე**) შიგადაშიგ თითოეულ ტურში თითოეულ გუნდს მიეცათ სხვადასხვა დავალება. კერძოდ, მოსწავლეებს ევალებოდათ კომპოზიტორების ამოცნობა, კინოფილმების დასახელება მელოდიების მიხედვით, კალათში მოთავსებულ სიტყვებზე სიმღერების გახსენება, ხალხური საკრავების ამოცნობა და გმირების გაფერადება. ვიქტორინას უძღვებოდა ქალბატონი თინათინი, ხოლო შედეგებს ითვლიდა კომპეტენტური ჟიური.

თითოეულმა გუნდმა შესანიშნავად წარმოაჩინა თავი, თუმცა ვიქტორინის წესების თანახმად აუცილებელი იყო გამარჯვებულის გამოვლენა. ეს ტიტული მოიპოვა მეოთხე კლასის გუნდმა ერთი ქულის სხვაობით.

„ასეთი პროექტების განხორციელება მოსწავლეთა მუსიკალურ აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს“ – ამბობს ქალბატონი ეკა ჩიკვილაძე და იმედოვნებს, რომ ერთობლივი პროექტები კვლავაც გაგრძელდება.

„არც მე და არც ქალბატონი ეკა არ ვართ მუსიკის სპეციალისტები, მაგრამ ერთობლივი ძალისხმევით მოვახერხეთ, რომ მოსწავლეები ასე ინტერესით მოეკიდნენ პროექტს და ასე კარგად წარმოაჩინეს თავი“ – აღნიშნა ქალბატონმა თინათინ გიორგაძემ.

ეს ღონისძიება დასტურია იმისა, თუ რა კარგად შეიძლება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით პროექტის პრეზენტაცია. ჰოვარდ გარდნერის თანახმად, იგი მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას უწყობს ხელს.

ვიქტორინა-პროექტი დაგვირგვინდა ეროვნული ჰიმნის შესრულებითა და მუსიკალური ნოტებით გაფორმებული ტორტის გაჭრის ცერემონიალით, რომლის პატივი გამარჯვებულ გუნდს ხვდა წილად. გუნდური მუშაობის შედეგად მიღწეულმა გამარჯვებამ პასუხისმგებლობის გრძნობისა და მოტივაციის ამაღლებას შეუწყო ხელი თითოეულ მოსწავლესა თუ მასწავლებელში.

მაია მაღლაფერიძე
სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსების საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

სპორტი

დოკვაძის ბრინჯაო

ერევანში დასრულებულ ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა **ალექსანდრე დოკვაძე**, რომელიც 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა – წინასწარ ეტაპზე მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ მეოთხედფინალში ირანელ **სიავახ ომიდის** სძლია. ჩვენებურმა პირველი პერიოდი 1 : 2 წააგო, მაგრამ მომდევნო რაუნდებში ტემპს მკვეთრად უმატა და, საბოლოოდ, ანგარიშით 8 : 6 იმარჯვა. ამით ნახევარფინალშიც გავიდა, რაც ბრინჯაოს მედლის ავტომატურად განაღდებასაც ნიშნავდა, მაგრამ დოკვაძეს შეეძლო, ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოსვლა ჰქონოდა. სამწუხაროდ, მედლის განაღდებით დაკმაყოფილდა თუ სხვა მიზეზი იყო, მან ვერ შეძლო შოტლანდიელი **ანტონ ფორესტის** ძლევა, მასთან 7 : 13 წააგო და ბრინჯაოს დასჯერდა.

აქვე გეტყვით, რომ ამ დღეებში ჩვენი ახალგაზრდა მოკრივეების ჯგუფი რუსულ კალინინგრადში მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში „ოლიმპიური იმედი“. იქ **მიხეილ კაზანჯიანი** (49), **სევერიან ჭილაძე** (52), **ბენედიქტ ერენოსიანი** (56), **ალეკო ჭაკაშვილი** (60), **ირაკლი მელიქიშვილი** (64), **ზაალ კვაჭატაძე** (69), **რომან თავაძე** (75), **იაგო კიზირია** (81) და **თორნიკე პურიჭამიაშვილი** (+91) იასპარეზებენ.

ძალოსანთა ებრაული წარმატება

კრივის, ტანვარჯიშის და სხვა სახეობათა მსგავსად, ნელ-ნელა ძალოსნობაც იკრებს ძალებს. აქაურებს უკვე მოეპოვებათ საერთაშორისო მასშტაბის წარმატებები ჭაბუკთა შორის, ახლა კი ის თაობა ახალგაზრდებშიც აგრძელებს მედლებით სვლას. ამის ნათელი მაგალითია 18 წლის ქუთაისელი **შოთა მიშველიძე** (62), რომელმაც ორი წლის წინ ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე ორჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ცალკეულ მოძრაობებში კი ვერცხლი და ასევე ბრინჯაო ირგუნა. ახლახან მან წარმატებით იასპარეზა ებრაულ ეილათში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე, სადაც ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო დაიმსახურა. ის მეორეზე გავიდა ორჭიდში 281 კილოგრამით, ატაცსა და აკვრაში კი, შესაბამისად, 126 და 155 აჩვენა – სამივე შედეგი უფროსებში საქართველოს რეკორდია! ამასთან, ისრაელში მან ატაცში ვერცხლი, აკვრაში კი ბრინჯაო მოიპოვა.

საბედნიეროდ, ეილათში ეს ჩვენი გუნდის ერთადერთი წარმატება არ ყოფილა – იქაურობა ამჯერადაც წარმატებით მოიარა კიდევ ერთმა ქუთაისელმა, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონმა და ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ვერცხლის მედალოსანმა **გიორგი ლომთაძემ** (69). აღსანიშნავია, რომ ჭაბუკთა ოქრო მან სამი წლის წინ ეილათში მოიპოვა. ლომთაძემ ამჯერადაც წარმატებით დაიწყო იქ გამოსვლა – 143 კილოგრამი აიტაცა, რაც ასევე საქართველოს რეკორდია და მცირე ოქროს მედალიც ირგუნა. სამწუხაროდ, კიდევ უფრო დიდი წარმატების მოპოვების შანსი აკვრაში ვერ გამოიყენა, სადაც პირველ მისვლაზე 167 კილოგრამი აჭკრა, მაგრამ მომდევნო ორი ცდა გაუფუჭდა და ორჭიდში 310 კილოგრამი მოუგროვდა. თუმცა, ესეც ქვეყნის ახალი რეკორდია, ეილათში კი ბრინჯაო მოაპოვებინა. აღსანიშნავია, რომ მიშელიძეც და ლომთაძეც **მალხაზ ლომთაძესთან** ვარჯიშობენ.

ასპარეზობის ბოლო დღეს ივაჟკაცა საჩხერელმა მძიმეწონასანმა **ლაშა ტალახაძემ**, ახლო წარსულში ცნობილი ძალოსნის – **კობა ტალახაძის** ვაჟმა, რომელმაც ცალკეულ სახეობებშიც და ორჭიდშიც, ანუ ჯამში სამი ბრინჯაო მოიპოვა. მან 190 კილოგრამი აიტაცა, 222 აკრა და ჯამში 412 მოუგროვდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეცხრე ადგილზე გავიდა.

ჩიბურდანიძე ქუთაისში

ქუთაისმა წლეულსაც უმასპინძლა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **მაია ჩიბურდანიძის** სახელობის ტურნირს მოზარდ მოჭადრაკეთა შორის, რომელიც რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. ყველაზე უმცროსებში – 8-წლამდელთა შორის ბიჭებში **დავით გაბუნიამ** გაიმარჯვა 8 ქულით. ამდენივე დააგროვა **დავით ცქიფურიშვილმაც**, თუმცა კოეფიციენტებით ჩამორჩა კონკურენტს და ვერცხლს დასჯერდა. მათ ნახევარი ქულით **გიორგი ნაყოფია** ჩამორჩა. ამ ასაკის გოგონებში ყველას **დიანა ლომაიამ** აჯობა 9 ქულით, **ნია დონღვანმა** და **ელენე იოსებიძემ** კი 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. 10-წლამდელთა შორის ბიჭებში **დავით კანკიამ** გაიმარჯვა 6 ქულით, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა **ცოტნე ქვარცხავა**. თავის მხრივ, ამანაც ნახევარი ქულით აჯობა **გიორგი ელაშვილს**. აქ გოგონებში, მედალოსნებს შორის, თითოქულიანი სხვაობაა – **თამარ ესაძემ** 6.5 ქულა დააგროვა, მომდევნო ადგილები კი **მაია ბეჭვაიამ** და **სანდრა კაპანაძემ** გაინაწილეს. 12-წლამდელებში მხოლოდ ბიჭები გამოდიოდნენ და გამარჯვება **გურამ კოკაიამ** მოიპოვა – 6.5 ქულა. **ომარ ზარგინაშვილმა** და **ლუკა შამუგიამ** 5-5 ქულა დააგროვეს, ვერცხლი კი ზარგინაშვილს ერგო. 14-წლამდელ ბიჭებში ოქროს მედალი **ავთანდილ ფანჩულიძემ** ირგუნა 5.5-ით. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ **გიგი აბსარიძე** და **ლუკა ლიჩელი**, თუმცა დამატებითი მაჩვენებლები უკეთესი აბსარიძეს აღმოაჩნდა. ამავე ასაკის გოგონების საუკეთესო სამეულსაც ზუსტად ასეთივე ქულები აღმოაჩნდა – **ანა თედოშვილმა** 5.5 დააგროვა და ყველას გაუსწრო, მას კი ნახევარი ქულით ჩამორჩნენ **ნინო დახუნდარიძე** და **თეა ჭოლაძე**. ვერცხლი დახუნდარიძეს დარჩა.

16-წლამდელთა შორისაც შეჯიბრება მხოლოდ ბიჭებში ჩატარდა, თუმცა ოქროს მედალი გოგოს დარჩა, ოღონდ – უკეთესი კოეფიციენტის გამო. **ადა ქაქუთიამ**, **გაბრიელ ბეჭვაიამ** და **გიორგი ცხადაძემ** 5-5 ქულა დააგროვეს, საბოლოოდ კი ოქრო ქაქუთიას ერგო, ვერცხლი – ბეჭვაიას.

ბრინჯაომდე ნასროლი ისარი

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის დაფინანსებით, ბაქოში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს ბათუმელ მშვილდოსან გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა, ორივეს მონაგარი კი გუნდური ბრინჯაოს მედალია.

ბათუმელ და აზერბაიჯანელ მშვილდოსნებს დიდი მეგობრობა აკავშირებთ. თუმცა, აქამდე ეს ცალმხრივი იყო – იქ ამ რანგის საერთაშორისო შეჯიბრებები არ ტარდებოდა, ახლა კი საფუძველი ჩაუყარეს და ჩვენებიც მიიწვიეს საპასუხო ვიზიტით. აი, ბათუმი კი ყოველწლიურად ატარებს რამდენიმე შეჯიბრებას უფროსებშიც და უმცროსებშიც, სადაც მუდმივად მონაწილეობენ აზერბაინჯანელებიც და სომხებიც. საერთოდ, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამო, ბათუმი ამიერკავკასიის მშვილდოსნობის ცენტრად იქცა – ისინი ერთმანეთთან არ ჩადიან და ისევ ჩვენს ტურნირებზე თუ შეხვდებიან ერთმანეთს. ბათუმელები (ბოლო წლებში – თბილისელებიც) სომხეთში რეგულარულად ჩადიან შეჯიბრებებზე, ახლა კი ბაქოსაც გადასწვდნენ.

ახლანდელი ტურნირი უფროსთა შორის იმართებოდა, თუმცა, ვინაიდან ქალთა ეროვნული ნაკრების ბათუმელი ლიდერები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან, ბაქოში ახალგაზრდები გააგზავნეს – 19 წლის **ნინო დევაძე**, **მედეა აბულაძე** და **ციალა ფუტკარაძე**, რომლებიც 1996 წელს არიან დაბადებულნი. ვაჟთა ნაკრებში ძველი თაობის წარმომადგენელი მხოლოდ **ტარიელ ქადიძე** იყო, **ტარიელ ბასილაძე** და **არჩილ არძენაძე** კი ასევე ახალგაზრდები არიან.

მათ ბევრად უფროსებთან მოუწიათ პაექრობა. მით უფრო, რომ ტურნირში რუსეთი და ირანიც გამოდიოდნენ, რაც პირადში შედეგებზეც აისახა – ჩვენები მედალოსნებში ვერ მოხვდნენ, თუმცა ფუტკარაძე (აღსანიშნავია, რომ ის ქალთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, ანტალიის „დიდი პრიზის“ გამარჯვებულის, რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილე **ხათუნა ნარიმანიძის** და ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის **თამაზ ფუტკარაძის** შვილია) შესარჩევში მეშვიდეზე გავიდა. სამაგიეროდ, ჩვენმა გუნდებმა ბრძოლისუნარიანობა გუნდურში გამოავლინეს და ორივე მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

ჩვენები შერეულ წყვილებშიც გამოვიდნენ, დუეტი კი ფუტკარაძემ და ბასილაძემ შექმნეს. შეჯიბრებაში ჩაება აბულაძეც, ოღონდ... თურქ მეწყვილესთან ერთად. საქმე ისაა, რომ თურქებს გოგონები არ ჰყავდათ და, საერთო შეთანხმებით, ინტერნაციონალური წყვილი შეიქმნა. ბედის ირონიაა, რომ მეოთხედფინალში სწორედ ამ გაერთიანებულმა დუეტმა აჯობა ჩვენებს. კიდევ კარგი, მერე ჩემპიონები გახდნენ, ანუ ბაქოში ერთი ოქრო მაინც მოვიპოვეთ.

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



სამი ტომის ფასი 21 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგავაძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ელენე ბერიანიძე

25 დეკემბერს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №23 საჯარო სკოლაში, ამავე სკოლის სამხატვრო სტუდიის (პედაგოგები – მაია კაციტაძე, იზო თავაძე) ორგანიზებით, გაიმართა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს მიეძღვნა. გამოფენაში მონაწილეობდნენ: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №23 საჯარო სკოლის სამხატვრო სტუდია, საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, „თამარ ნათენაძე“ კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა, თბილისის №11 საჯარო სკოლის ხელოვნების სტუდიის „ჩოხოსნები“ ხატვა-ფერწერის ჯგუფი, თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემია, სანდრო ინაშვილის ხელოვნების სკოლა, შპს ხელოვნების სტუდია „მუზა“.

ელენე ბიწაძე

ალექსანდრე კურტევი

გიორგი ხაბაზიშვილი

თათია ცაბაურაშვილი

ანა შავშიშვილი

გიორგი ბასიშვილი

ლუკა ოზბეტელაშვილი

ანა ჭუმბურიძე

ნანა ახვლედიანი

რუსუდან კიპაროიძე

ნათია გეგენავა

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >